# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge





იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 16 ივნისი. 2017 წ. №120 (8257), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## 94-ე მუხლი

**არც ნორმალურია და არც მისაღები! – ამბობს ბიზნესმენი დევიდ ლი**

③





⑤

„პირზე მომდგარსა სიტყვასა...“

## ენა – მკვლელი, ენა – მაცოცხლებელი...

ახალი ყაჩაღური რეგულაციები

## ავლაგმოთ დამაქცეველი „ბრინჯაოსნები!“

④

## ახალგორელი ქართველები ცხინვალის რეჟიმის მძევლები არიან!

⑧




## დავით საყვარელიძე: პოროშენკო სააკაშვილის ექსტრადიციის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს



უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის დავით საყვარელიძის ინფორმაციით, იმ შემთხვევაში თუ მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციურ საქმიანობას არ შეწყვეტს, მას საქართველოში ექსტრადიცია ელოდება. „Zіткнення“-ის ეთერში მან აღნიშნა, რომ პრეზიდენტი პოროშენკო ამ საკითხზე მოლაპარაკებებს ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან აწარმოებს.

**„ყველა არხზე საუბრობენ, რომ თუკი სააკაშვილი არ შეაჩერებს თავის პოლიტიკურ ოპოზიციურ საქმიანობას, საქართველოში მისი ექსტრადიცია მოხდება“,** – განაცხადა საყვარელიძემ. მისი შეფასებით, სააკაშვილსა და პოროშენკოს „ღირებულებების ბაზა“ განსხვავდება და უკრაინის პრეზიდენტს მიუხედავად იმისა, რომ აშინებდა საქართველოს ექს-პრეზიდენტის პოპულარობა, მისი უკრაინულ „პოლიტიკაში შეშვება“ არ სურდა. „მოძრაობა ახალი ძალების“ შექმნის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა 2016 წლის 19 ნოემბერს განაცხადა. იუსტიციის სამინისტრომ ის 2017 წლის 28 თებერვალს დაარეგისტრირა.

## მორატორიუმი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე

**უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადებას საქართველოს პარლამენტმა გუშინ 95 ხმით 7-ის წინააღმდეგ მხარი პირველი მოსმენით დაუჭირა.**

კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით, კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების ძალაში შესვლამდე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება ჩერდება, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადასვლის საკითხს ითვალისწინებს.

კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებებით, კონსტიტუციას ემატება ნორმა, რომელიც მიწას განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რესურსის სტატუსს ანიჭებს და მასზე საკუთრების უფლების მოწესრიგებას ორგანული კანონით მოითხოვს.

## აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ქონების უსასყიდლოდ გადაცემის უფლება ენიჭება



აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა აჭარის უმაღლესი საბჭოს სესიაზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის კანონში ცვლილების შეტანის საკითხი წარადგინა.

**„კანონპროექტში შესული ცვლილებები ქონების მართვისა და განკარგვის პროცესს კიდევ უფრო ეფექტურს გახდის. ჩვენი მიზანია, მოქალაქეებმა ნაკლები დრო და ფინანსური რესურსი დახარჯონ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების რეგისტრაციისას და მინიმუმამდე შემცირდეს ბიუროკრატიული პროცესები“,** – განაცხადა რამაზ ბოლქვაძემ.

კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ქონება უსასყიდლოდ გადასცეს ასევე „ფიზიკურ პირებს, ხელისუფლების ორგანო(ები)ს მიერ შექმნილი შესაბამისი კომისი(ებ)-ის რეკომენდაციის საფუძველზე, სოციალური პირობების გაუმჯობესების ან/და ხელისუფლების ორგანო(ები)ს მიერ მოქალაქეების წინაშე აღებული ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.“

ცვლილების მიღებით მოქალაქეები აღარ იქნებიან ვალდებული, გაიარონ ეს პროცესები და ისინი საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შეძლებენ. უმრავლესობამ კანონპროექტი „ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ პირველი მოსმენით მიიღო.

# გიორგი გახარია აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრს შეხვდა



**„აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრთან გვქონდა ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა, ვისაუბრეთ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისა და იმ მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ, რომელშიც აქტიურად არის ჩართული ორივე ქვეყანა ენერგეტიკული თუ სატრანზიტო პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის“,** — ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არტურ რასიზადესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. გიორგი გახარიამ ქვეყნის მთავრობის მეთაურთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისა და საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა.

აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრთან საუბრისას ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციას და იმ დიდ ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანს გააჩნია ექსპორტის, იმპორტის, ტურიზმის, ენერგეტიკის, წარმოების,ტრანსპორტის, ლოგისტიკისა და გადაზიდვების მიმართულებით. შეხვედრაზე ითქვა, რომ ორივე მხარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სატრანსპორტო დერეფნების ეფექტურ და კონკურენტულ განვითარებას, რისთვისაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. გიორგი გახარიამ ქვეყნის პრემიერთან აზერბაიჯანში ქართული დელეგაციის ორდღიანი ვიზიტის შედეგები შეაჯამა, მთავრობის წევრებს გულთბილი მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართული ნაყოფიერი შეხვედრები განსაკუთრებული სტიმულია ორ ქვეყანას შორის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო მაღალ დონეზე განვითარებისთვის.

# ერთიანი პროექტი მსოფლიო ტურიზმის სფეროში

**„ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის კუთხით აზერბაიჯანი არის საქართველოსთვის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ქვეყანა, რომელიც ამ მიმართულებით პარტნიორი ქვეყნების ათეულში პირველ ადგილს იკავებს და ჩვენ გვსურს, რომ ტურიზმის სექტორში ურთიერთანამშრომლობის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდოს“,** — ამის შესახებ გიორგი გახარიამ ბაქოში აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრთან, აბულფას გარაევთან შეხვედრისას განაცხადა. ორი ქვეყნის მინისტრებმა ტურისტულად მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრეს და განიხილეს ის ღონისძიებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონში ტურისტული ნაკადების კიდევ უფრო გაზრდას, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარებას.

გიორგი გახარიამ აბულფას გარაევს და აზერბაიჯანის მთავრობას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე საქართველოს კანდიდატის ზურაბ პოლოლიკაშვილის მხარდაჭერისთვის.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საქართველოსა და აზერბაიჯანის მჭიდრო თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში არა მარტო ორმხრივი, არამედ რეგიონალური მნიშვნელობისაა.

**„ორივე ქვეყანას აქვს დიდი პოტენციალი ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად რეგიონში ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებისა და ხელშეწყობისთვის. აზერბაიჯანულ მხარეს მივაწოდეთ ინფორმაცია იმ პროექტებზე, რომელიც ტურიზმის ინფრასტრუქტურულ განვითარებას უკავშირდება. ჩვენ ხაზი გავუსვით მნიშვნელოვან პლატფორმებს, სადაც ორივე ქვეყანა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობს. შევთანხმდით, რომ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ფარგლებში ერთიან პროექტებს განვავითარებთ, რათა ჩვენი რეგიონის, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული მიმართულების ცნობადობა ავამაღლოთ“** — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ.

**მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობამ 6 მილიონს გადააჭარბა.**



# ქართული პენიტენციალური სისტემა და აშშ-ის გამოცდილება



**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ციხეების ფედერალური ბიუროს დირექტორ ტომას კეინს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრმა საქართველოს დემოკრატიული განვითარების, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ამაღლების პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულ როლს გაუსვა ხაზი და ბიუროს დირექტორს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მიღწეული პროგრესის მიმართ გამოხატული ინტერესისთვის მადლობა გადაუხადა.**

უწყების ინფორმაციით, შეხვედრის მთავარ საკითხს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები წარმოადგენდა. კახა კახიშვილმა ტომას კეინს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც სისტემაში ბოლო ოთხი წლის მანძილზე განხორციელდა. მისი თქმით, არაერთი წარმატებული და პროგრესული ცვლილების მიუხედავად, სისტემის განვითარების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სიახლეების დანერგვა გრძელდება.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ციხეების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელმა ტომას კეინმა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში გატარებული რეფორმები და მიღწეული შედეგი პოზიტიურად შეაფასა.

შეხვედრის დასასრულ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა ტომას კეინი საქართველოში მოიწვია.

## ევროპარლამენტმა აფგან მუხთარლის საქმეზე მომზადებული რეზოლუცია მიიღო

**ევროპარლამენტმა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმეზე მომზადებული რეზოლუცია მიიღო, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს, უზრუნველყოს დროული, გამჭვირვალე და ეფექტიანი გამოძიება და პასუხი აგებინოს დანაშაულის ჩამდენ პირებს. ამასთანავე, ევროპარლამენტმა აზერბაიჯანის მთავრობას ჟურნალისტის უპირობო გათავისუფლებისკენ მოუწოდა.**

რეზოლუციის— „მუხთარლის საქმე და აზერბაიჯანში მედიის მდგომარეობა“ თანახმად, ევროპარლამენტი მკაცრად გმობს საქართველოდან აზერბაიჯელი ჟურნალისტის გატაცების ფაქტს, ბაქოში მის დაკავებასა და მოსალოდნელ გასამართლებას ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად მიიჩნევს.

ტექსტის მიხედვით, საქართველო, როგორც ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის წევრი ქვეყანა, პასუხისმგებელი და ვალდებულია, მის ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვის შექმნას გარანტია იმისა, რომ არ მოხდეს მათი იძულებით დაბრუნება აზერბაიჯანში. რეზოლუციაში, ასევე, აღნიშნულია, რომ გაზრდილია რიცხვი შემთხვევების, როდესაც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ქვეყანაში ცხოვრებისთვის აუცილებელი საბუთის ვადის გაგრძელებაზე უარს ეუბნებიან.

გარდა ამისა, ევროპარლამენტარები, უმნიშვნელოვანეს საკითხად ასახელებენ და მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, გამოიძიონ და ნათელი მოჰფინონ მუხთარლის იძულებითი გაუჩინარების საქმეში ქართული მხარის მონაწილეობის შესახებ გამოთქმულ ეჭვებს. რეზოლუციის კენჭისყრამდე, ევროპარლამენტის სესიაზე დებატები გაიმართა.

## მუხთარლის საქმის გამოძიება საქართველოს მთავარი ვალდებულებაა

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმის გამოძიება ამ ეტაპზე საქართველოს მთავარი პრიორიტეტი და ვალდებულებაა. ბესელიას თქმით, მთავრობაში აფგან მუხთარლის საქმეს მონიტორინგს უწევენ.

**„საქართველოს მიმართ იქნება მოწოდება, რომ გამოძიებამ იმუშაოს ობიექტურად და სრულყოფილად. ამ ფაქტის გამოძიება არის ის მთავარი პრიორიტეტი, რაც სახელმწიფოს ახლა ვალდებულება აქვს. ამას ყველა ახორციელებს და ამას ჩვენ მონიტორინგს ვუწევთ და ვაკვირდებით,“** — განაცხადა ეკა ბესელიამ.

## სოზარ სუბარი: თუ იდევნებოდა, თავშესაფარი უნდა მოეთხოვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის განცხადებით, თუ აფგან მუხთარლი იდევნებოდა, უნდა მოეთხოვა თავშესაფარი.



**„ორი წელი ეს ადამიანი ცხოვრობდა საქართველოში ყოველგვარი პრობლემის გარეშე და მის მიმართ თუ დევნა იყო, ან ის რაიმე საფრთხეს გრძნობდა, შეეძლო მიემართა კონკრეტულად ჩვენი სამინისტროსთვის და მიეღო თავშესაფარი, ან მიემართა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისთვის. ის რომ მას არ მიუმართავს მაფიქრებინებს მე, რომ მის მიმართ მსგავსი დევნა არ არსებობდა“,** — ეს განცხადება სოზარ სუბარმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.



# 94-ე მუხლი

## არც ნორმალურია და არც მისაღები! – ამბობს ბიზნესმენი დევიდ ლი

**„94-Ე მუხლი არაა ნორმალური და არც მისაღები. ასეთი ჩანაწერი არც ერთ კონსტიტუციაში არ არსებობს“,** — ამის შესახებ „ევროპის ბიზნეს-ასოციაციის“ დირექტორი, ბიზნესმენი დევიდ ლი წერს.

დევიდ ლის აზრით, როცა ყველა ბიზნეს-ასოციაცია საუბრობს ერთ ხმაზე, რაღაც არ არის ნორმალური.

**„ბიზნესმენებს არ მოსწონს გადასახადი, მაგრამ ქვეყანას სჭირდება საზოგადოების განვითარება და ახალი ინფრასტრუქტურა.**

**საქართველო არ არის დუბაი. საზოგადოებრივი განვითარება და ეკონომიკის განვითარება მუშაობს ერთად. ეს არის ევროპული ლოგიკა, გამოცდილება და ღირებულებები.**

**ბიზნეს-ასოციაციების განცხადება იყო შეცდომა. მე არ მინდა, ვიცხოვრო ქვეყანაში, სადაც რეგიონებში ხალხს არ აქვს ნორმალური ხელფასი ან განათლება. როცა ყველა ბიზნეს-ასოციაცია საუბრობს ერთ ხმაზე, რაღაც არ არის ნორმალური. ჩვენ გვჭირდება ახალი ხმა, რომელსაც აქვს ევროპული წონა და ღირებულებები.**

**ჩვენ მივდივართ ევროპისკენ. საქართველო უნდა იყოს ევროპული“**, — წერს ბიზნესმენი.

ყველამ იცის, რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლზე ბიზნეს-გაერთიანებებმა ერთობლივი საგანგებო განცხადება გაავრცელეს, რომელშიც წერენ, რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსებული ფორმით შენარჩუნება აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის.

**„საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების პროცესში ჯერ კიდევ განიხილება შესაძლებლობა, რომ გაუქმდეს კონსტიტუციის 94-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ახალი გადასახადის შემოღება ან გადასახადის განაკვეთის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ რეფერენდუმის გზით.**

**ჩვენ, წამყვანი ბიზნეს-გაერთიანებები, მივიჩნევთ, რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსებული ფორმით შენარჩუნება აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარებისთვის, სტაბილური ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შენარჩუნებისათვის.**

**ბიზნეს-გაერთიანებები მიიჩნევენ, რომ „ამ ჩანაწერის გაუქმება საგრძნობლად გააუარესებს საქართველოს კონკურენტუნარიანობას საინვესტიციო მიმზიდველობის კუთხით და შეამცირებს ინვესტიციების შემოდინებას, რაც ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე და შეაფერხებს ქვეყნის განვითარებას.“**

განცხადების ავტორები იმასაც მიიჩნევენ, რომ **„საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავად გადაწყვიტონ, გაიზარდოს თუ არა მათი გადასახადები. მოქალაქეების უფლება, რეფერენდუმის გზით გადაწყვიტონ გადასახადების გაზრდის საკითხი, უშუალოდაა დაკავშირებული მათ უფლებასთან — განკარგონ საკუთარი შრომის შედეგად მიღებული შემოსავლები და ეს განახორციელონ პირდაპირი დემოკრატიის ფორმით“,** — ვკითხულობთ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ: **ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში; დისტრიბუტორთა ბიზნეს-ასოციაცია; ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია; საქართველოს ბანკების-ასოციაცია; საქართველოს ბიზნეს-ასოციაცია; ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო; საქართველოს გადასახადის გადამხდელთა კავშირი; საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია; საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია; საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია; საერთაშორისო სავაჭრო პალატა — საქართველო; საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.**

**2010 წელს საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლში გაჩნდა ჩანაწერი, რომ ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღებისთვის ან უკვე არსებული გადასახადების განაკვეთის გაზრდისთვის (გარდა აქციზისა) რეფერენდუმის ჩატარებაა აუცილებელი. ამ პროცესის უფრო დეტალური გაწერისთვის შეიქმნა ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ. ეს საკანონმდებლო ნორმა არის გარანტი, რომ ქვეყანაში მოსახლეობის თანხმობის გარეშე მთავრობა გადასახადებს არ გაზრდის. უფლება ძალაში 2013 წელს, გიორგი მარგველაშვილის მიერ ფიცის დადებისთანავე შევიდა.**

**ფრიდონ ლერწამიძე**

## დავით უსუფაშვილი: საკმარისია მაჟორიტარის სავარძელში ჩაჯდომა და ყველა ამ სისტემის მომხრე ხდება

**„საქართველოში მაჟორიტარულ სისტემას არასოდეს არავინ უჭერდა მხარს, გარდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა სავარძლებისა — საკმარისია ამ სავრძელში ჩაჯდომა და ყველა ამ სისტემის მომხრე ხდება; საკმარისია ამ სავარძლიდან ადგომა ან მასში ვერ ჩაჯდომა და ყველა მისი წინააღმდეგია. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ამ სისტემას განსაკუთრებული ხიბლი აქვს ყოველ მოცემულ მომენტში ადმინისტრაციული რესურსით აღჭურვილი ანუ სახელისუფლებო პოლიტიკური გუნდებისთვის, რომელთაც უვითარდებათ ავადმყოფური ლტოლვა ხელისუფლებაში დარჩენისადმი. ამ სისტემის შეცვლა იმიტომაცაა საჭირო, რომ მომავალი პოლიტიკოსები მაინც დავაზღვიოთ ამ დაავადებისგან...**



**ორი წლის წინათ ბევრის, მათ შორის, ჩემი მცდელობითაც გამოიკვეთა სერიოზული და რეალური შანსი იმისა, რომ დღეს ჩვენ უკვე გვქონოდა კონსტიტუციურად გარანტირებული ჯანსაღი პროპორციული სისტემა, ყოველგვარი სპეც ბონუსების გარეშე. მაშინ ნაციონალური მოძრაობის დე ფაქტო ლიდერის მორიგ ახირებას შეეწირა ეს შანსი. მაშინდელმა უმცირესობამ პიარ-კამპანიას გადააყოლა 2016 წლის არჩევნების შემდეგ პროპორციულ სისტემაზე გადასვლის უნიკალური შესაძლებლობა, რადგან კოალიციურ უმრავლესობას ინიცირებული ჰქონდა შესაბამისი საინსტიტუციო ცვლილებები და გვჭირდებოდა უმცირესობის ხმები“,** — აცხადებს დავით უსუფაშვილი. რაც შეეხება ე.წ. ბონუსებს. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ამბობს, რომ ის დარწმუნებული იყო, რომ ეს სისტემა დაწუნებული იქნებოდა ვენეციაში:

**„მე ადრეც განვაცხადე, რომ ე.წ. ბონუსური სისტემა დაწუნებული იქნებოდა თბილისშიც, ქუთაისშიც და ვენეციაშიც და სინამდვილეში კვლავ არსებული სისტემის შენარჩუნებისკენ მივდიოდით. გამოსავალი მხოლოდ ოცნების მიერ საკუთარ თავში საკონსტიტუციო უმრავლესობის იდეაფიქსის დაძლევაშია. ასეთ შემთხვევაში ისინი სხვა შესაძლო გზებსა და კომპრომისებსაც დაინახავდნენ და შეძლებდნენ, ამ საკითხზე ათწლეულების განმავლობაში შემუშავებული მოდელებიდან რომელიმეზეც ეფიქრათ, მაგალითად, მრავალმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებზე ან ე.წ. გერმანულ სისტემაზე. ამ მოდელებით მათთვის ესოდენ სანუკვარ მაჟორიტარულ კომპონენტსაც შეინარჩუნებდნენ 2020-ისთვის და დამკვიდრებულ მანკიერებებსაც შეებრძოლებოდნენ.“.**

## „ცენტრ პოინტის“ საქმის განხილვა გადაიდო

**„ცენტრ პოინტის“ საქმეზე „მაგნოლიის“ ეპიზოდის განხილვა გურამ რჩეულიშვილის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. რჩეულიშვილის ადვოკატმა პროცესის გადადება ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ითხოვა და შესაბამისი დოკუმენტიც წარადგინა.**

საქმის პროკურორებმა დაცვის შუამდგომლობა გააპროტესტეს და ადვოკატები სასამართლო პროცესების გაჭიანურებაში დაადანაშაულეს. მოსამართლე მაია შოშიაშვილმა ბრალდების შუამდგომლობა პროცესის გაგრძელების შესახებ არ გაიზიარა და სხდომა გადადო. აღსანიშნავია, რომ „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებულები ადვოკატს საქმის ხელოვნურად გაჭიანურებაში ადანაშაულებენ. მაღ გუშინ საქალაქო სასამართლოსთან აქციას გამართეს და განაცხადეს, რომ პროცესები ხშირად სრულიად უმიზეზოდ იდება.



ცნობისთვის, „ცენტრ პოინტის“ საქმის „მაგნოლიის“ ეპიზოდზე გუშინ დაცვის მხარის მოწმეები უნდა დაეკითხათ. გურამ რჩეულიშვილმა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების პირობების შესრულების გეგმა უკვე წარუდგინა და პასუხს ელოდება. საუბარია პროექტებზე და ინვესტორთა სიაზე, რომლებიც დაზარალებულებს დააკმაყოფილებენ.

## დამფუძნებლის გატაცებაშიც ადანაშაულებენ

**„სვეტის“ დამფუძნებლის გატაცებაში ბრალდებულებს „კიდ არქიტექტურის“ დამფუძნებელის გატაცებაშიც ადანაშაულებენ. „რუსთავი-2“-ის ინფორმაციით, 10 თვის წინათ ბრალდებულებმა ზურაბ წერეთლის ოჯახის კიდევ ერთი ბიზნეს-პარტნიორი ნიკა შავიშვილი გაიტაცეს.**

შავიშვილმა მომხდარზე დამატებითი ინფორმაცია სამართალდამცავებს კიდევ ერთხელ მიაწოდა. ის შსს-ში გამოიკითხა. შავიშვილი ყვება, რომ მის გატაცებაშიც ის პირები მონაწილეობდნენ, რომლებიც გია ჯიბლაძის გატაცებაში მონაწილეობდნენ. მისივე ინფორმაციით, გატაცება თბილისის ცენტრიდან მოხდა. შავიშვილი მომხდარის სხვა დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს.

**„მე ვადასტურებ შარშან, 2016 წლის 21 მაისს ჩემი გატაცების ფაქტს, რომელშიც მონაწილეობდა რამდენიმე იმ პირებიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ, როგორც მე ვიცი, ბატონი გია ჯიბლაძის გატაცებაში. ამ ეტაპზე მე ამით შემოვიფარგლები,“** — განაცხადა ნიკა შავიშვილმა.



კომპანია „სვეტის“ დამფუძნებელი გია ჯიბლაძე კი ამბობს, რომ მისი და ნიკა შავიშვილის გატაცება ერთი და იგივე სცენარით განხორციელდა. ჯიბლაძე მიანიშნებს, რომ შავიშვილის გატაცებაშიც ლევან ჩქარეული და ლევან ბახტაძე ფიგურირებენ.

## 21 წლის სექსმუშაკის (მეძავის) ცემის ფაქტს შსს ასე ეხმიანება

**„მიმდინარე წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოში შევიდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ თბილისში, ვარდების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეებს შორის ჩხუბი მოხდა.**

**შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლები, სადაც მათ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, 1996 წელს დაბადებული ი.ლ. დახვდათ. მას სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება აღენიშნებოდა.**

**პოლიციელების დანახვისას ი.ლ. აგრესიული გახდა, სამართალდამცველებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მათთან თანამშრომლობასა და სამედიცინო დახმარების გამოძახებაზე უარი განაცხადა. პოლიციამ ი.ლ. წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცველის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების თანახმად დააკავა. დაკავებისას მას განემარტა ნებაყოფლობით ადვოკატის მოწვევის უფლება. ადვოკატის პოლიციის განყოფილებაში მისვლის შემდეგ ი.ლ.-მ განაცხადა, რომ იგი მის კოლეგა ქალბატონს არ უცემია, არამედ დაზიანებები სხეულზე სამართალდამცველებმა მიაყენეს. ი.ლ. ამჯერად სამედიცინო დახმარებაზე დათანხმდა, რის შემდეგაც იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ა. ალადაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანა, სადაც მას შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევები უტარდება.**

**ვარდების მოედანზე მომხდარ ჩხუბის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ს 126-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე შსს ერთ-ერთი მოქალაქის მიერ მიწოდებულ ვიდეომასალასაც აქვეყნებს.

ახალი ფინანსური რეგულაციები



# ავლაგმოთ დამაქცეველი „ბრინჯაოსნები!“

**ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი „ფინანსურ მონობაში“ რომაა ჩავარდნილი, რის გამოც ბევრი ოჯახი უსახლკაროდაც კი დარჩა და რის საფრთხეც მრავალს ასევე ემუქრება, არახალი ამბავია, რომლის წვრილმანები ხელისუფლებისთვისაც კარგად ცნობილია და ხალხისთვისაც. მოვალეთა ძირითადი „ფინანსური გამგუდველები“ კი, კომერციული ბანკებისა და კერძო მევახშეების გარდა, ჩვენში ბოლო ხანებში სოკოებივით მომრავლებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არიან.**

ამ შემთხვევაში მათზე ყურადღებას ორი მიზეზით ვამახვილებთ. პირველი გარემოება ისაა, რომ ათასნაირი სარეკლამო ხერხით (ვთქვათ, ინტერნეტით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაკრული პლაკატებით, ნაირ-ნაირი ბუკლეტებით და ა.შ.) დაანონსებული თავდაპირველი ნულოვანი, შემდგომ კი მინიმალური საპროცენტო გადასახდების ამბავი, რბილად რომ ვთქვათ, „სიმართლეს ბოლომდე არ შეესაბამება“, სინამდვილეში მოვალეს იმაზე გაცილებით მაღალი გადასახადის გადახდა უწევს, რაც თავიდან ჰქონდა გათვლილი. ბუნებრივია, მოვალეთა რეესტრში მოხვედრის მიზეზთა შორის ეს ერთადერთი არ არის, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი კი ნამდვილად არის.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მკაცრი რეგულაციების დაწესება და მათი მოღვაწეობის ხისტი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევა რომაა საჭირო, ამის თაობაზე ლაპარაკი დიდი ხანია, არის. საამისოდ იმის გახსენება შეიძლება, რომ ჯერ კიდევ შარშან საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო სექტორისთვის მოქმედების პირობების გამკაცრებას აანონსებდა. როგორც ჩანს, ქვეყნის მთავარი საფინანსო ზედამხედველის ეს დაპირება ამჟამად რეალურ კონტურს იძენს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის შემზღუდველი რეგულაციების შემოღების შედეგად, მათი ერთიან აქტივების მოცულობა შარშან 25 პროცენტზე მეტით გაიზარდა და 2 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც უმთავრესად, ონლაინ-კომპანიების ხელახალი რეგისტრაციის შედეგად მოხდა.

ახალი რეგულაციებიდან უმთავრესი ის იქნება, რომ ამიერიდან ნებისმიერი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ნაღდი კაპიტალი არ შეიძლება მილიონ ლარზე ნაკლები იყოს, რომელიც აუცილებლად ფულადი და არა, ვთქვათ, უძრავ-მოძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების და ა.შ. სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. თანაც ამ კაპიტალის რაიმე ფორმით შემცირება დაუშვებელია. ამასთან, იგეგმება გასაცემი კრედიტებისთვის მაქსიმალური ზღვარის დაწესება — ერთ მსესხებელს 100 ათას ლარზე მეტი ოდენობის კრედიტის აღება არ შეეძლება. ასეთია ის ძირითადი პირობები, რომლებსაც ამჟამად ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ერთობლივად შემუშავებული კანონპროექტი ითვალისწინებს. რეგულაციების დარღვევას მეტად მკაცრი სანქციების გამოყენება მოჰყვება, მათ შორის იქნება ჯარიმები, ლიცენზიების ჩამორთმევა და სხვ.

ეს რაც შეეხება მოქმედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მაგრამ გარდა ამისა, იგეგმება ასევე გარკვეული შეზღუდვების შემოღება ახლების შექმნასთან დაკავშირებით, ამ უფლებას ვერ მიიღებენ საფინანსო განათლების, ანდა საფინანსო სფეროში მუშაობის გამოცდილების არმქონე პირები. ასევე „წითელი შუქი“ აენთებათ იმ პირებს, ვინც უწინ ისეთ ოპერაციებში მონაწილეობდა, რომელთა შედეგად კომერციულ ბანკებს, ან არასაბანკო ორგანიზაციებს ზარალი მიადგა, ვინც წინა წლებში საფინანსო სამართალდარღვევა ჩაიდინა და ა.შ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, წლის დამდეგისთვის, ქვეყნის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები 14,3 მილიონი ლარის ღირებულების ქონებას ფლობდნენ, რაც 4,8 მილიონი ლარით მეტია, ვიდრე შარშან. ამდენად, მარტო საკუთრების მხრივ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივები ერთ წელიწადში თითქმის 5 მილიონი ლარით გაიზარდა. ეს კი, ცხადია, ის ქონებაა, რომელიც მათ კლიენტებმა დაკარგეს...

ამის მთავარ მიზეზად კი, წლების განმავლობაში, ექსპერტები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმას ასახელებენ, რომ მსესხებლის მიერ ქონების დაკარგვის შემთხვევათა უმრავლესობაში, მას თითქმის არა აქვს იმის შესახებ ინფორმაცია, თუ რეალურად რა თანხები ექნება გადასახდელი ამა თუ იმ ოდენობით კრედიტის გამოტანისას, ასევე ბევრი არაფერი იცის სესხის დაფარვის პირობებისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

თუმცა ისიცაა, რომ ჩვენში ხალხის შენიღბულად ძარცვის მხრივ, ყველაზე „ყოჩაღები“ მაინც კერძო მევახშეები არიან, შემდეგ — ვითომ უფრო „ცივილიზებულად“ მოქმედი კომერციული ბანკები და ბოლოს — „ბრინჯაოსანი“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

**ოთარ ტურაბელიძე**

ესეც პრობლემაა?!

# მანქანებს მთელი წელი არ იყენებენ!

**2016 წლის ბოლოსთვის მხარჯავი დაწესებულებების საკუთრებაში სულ 2,463 ერთეული ავტომობილი იყო. ამის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაშია ნათქვამი, რომელიც საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს ეხება.**

მოხსენების მიხედვით, 2,463 ერთეული ავტომობილიდან 1,488 მიეკუთვნება მაღალი გამავლობის ტიპს, ხოლო ავტომანქანების ჯამური ოდენობის 31% წარმოადგენს განპიროვნებულს, ანუ ისეთ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომელიც კონკრეტული თანამშრომლისთვისაა გადაცემული.



აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, რიგ უწყებებში განპიროვნებული ავტომობილებით თანამდებობასთან შეუსაბამოდ სარგებლობის ფაქტები ფიქსირდება. კერძოდ, **11 ასეთი ფაქტი გამოვლინდა განათლების სამინისტროში, 6 — სპორტის სამინისტროში და სხვებში.**

ზოგადად კი, „BMG“-ს ინფორმაციით, იმ სამინისტროების ხუთეული, რომლებსაც ყველაზე მეტი ავტომობილი ჰყავთ, ასე გამოიყურება: **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (400), განათლების და მეცნიერების სამინისტრო (390), ჯანდაცვის სამინისტრო (378), სოფლის მეურნეობის სამინისტრო (331), სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (282).**

ამასთან, ირკვევა, რომ 2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამინისტროების ბალანსზე 784 ერთეული ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალება ირიცხებოდა, რომელთა გამოყენება მთელი წლის განმავლობაში საერთოდ არ მომხდარა.

# სამაცივრე მეურნეობები საკმაოდ გამართულად მუშაობენ

**2016 წელს საქართველოში 58 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლსა (43,1%) და ქ. თბილისში (20,7%) იყო განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობების 13,8% მდებარეობს იმერეთის რეგიონში, 10,3% — სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო დარჩენილი 12,1% — სხვა რეგიონებშია განთავსებული.**

2016 წლის განმავლობაში სამაცივრეებში მომსახურება გაეწია 8107 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია, 571 ერთეულს წარმოადგენს, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ 1279 კაცი შეადგინა.

2016 წლის განმავლობაში, მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 280,1 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 44,9%-ს წარმოადგენდა ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 27,1% მოდიოდა ხორცზე და ხორცპროდუქტებზე (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 10,6% - თევზზე, 6,0% — ხილზე და ხილ-ბოსტნეულზე, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა.

სამაცივრე მეურნეობების მიერ, შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2016 წლის განმავლობაში შესყიდულია 13,1 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს — 15,6 მლნ ლარი შეადგინა. 2016 წლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 74,2 მლნ ლარის ღირებულების (21.7 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (44,6%) იყო ადგილობრივი (საკუთარი წარმოების). ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 83,3% მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის 40,3% მოდიოდა ხილზე და ბოსტნეულზე, 32,4% — ხორცზე და ხორცპროდუქტებზე (ნახევარფაბრიკატების ჩათლით).



სამაცივრე მეურნეობების 27,6% თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია ნაწილობრივ, 60,3% — სრულად, ხოლო 12,1% საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით. სესხით სარგებლობს სამაცივრე მეურნეობების მხოლოდ 46,6%. აქედან უმრავლესობას (63,0%) სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებულის გაუმჯობესების მიზნით), 29,6%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 7,4%-ს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

# კვიპაროსები ნაძალადევში იხარებენ



**ნაძალადევის რაიონში გამწვანების სამუშაოები გრძელდება. თბილისის მერიის ინფორმაციით, რაიონის გამგეობის დაკვეთით, 30 მისამართზე 400 ძირი პირამიდული კვიპაროსი დაირგო. მათი ცნობით, სანზონაში, ლოტკინზე, თემქასა და ნაძალადევში თანაბრად გადანაწილდა 100-100 ნერგი. კერძოდ, თემქის მე-4 მ.რ-ში, წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის ეზოში 40 კვიპაროსი გამგებლის მოადგილეებმა გამგეობის თანამშრომლებთან ერთად დარგეს, ასევე 50-50 ნერგი დაირგო დიდი ჯიხაიშის პირველ შესახვევსა და კიშინოვის ქუჩაზე.**

როგორც მერიაში განმარტავენ, კონტრაქტორი კომპანია დარგული ხეების მორწყვას, მოვლა-პატრონობას წლის ბოლომდე უზრუნველყოფს, ხოლო ხელშეკრულების თანახმად, ნერგის გახმობის შემთხვევაში, მომწოდებელი კომპანია მას ახლით ჩაანაცვლებს.

# იფრინეთ ბათუმიდან ასტანაში...




ქართული ავიაკომპანია Georgian Airways-ი (აირზენა) ბათუმიდან ასტანის მიმართულებით ფრენებს იწყებს. როგორც abctv.kz წერს აღნიშნულ მარშრუტზე Georgian Airways-ი ფრენების განხორციელებას 18 ივნისიდან შეუდგება. უკვე ცნობილია რომ Georgian Airways-ი ბათუმი-ასტანა-ბათუმის მიმართულებით ფრენებს Boeing 737-ით განახორციელებს.

საქართველოსა და ყაზახეთის საავიაციო ხელისუფლებები დარწმუნებულნი არიან, რომ ახალი სამარშრუტო ხაზის გახსნა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს გააღრმავებს და ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებას. დღეისათვის საქართველოსა და ყაზახეთს შორის ფრენებს ავიაკომპანია Air Astana ასრულებს, რომელიც თბილისის მიმართულებით ფრენებს ასტანიდან და ალმა-ატადან ახორციელებს. ასევე დაფრინავს ავიაკომპანია SCAT-ი, რომელიც თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის მიმართულებით ყაზახეთის ქალაქ აქტაუდან დაფრინავს.

# ენა - მკვლელი, ენა - მაცოცხლებელი...

**სიტყვას რელიგია მოაზროვნე სულად აღიარებს. ესაა ძალა, რომლითაც ადამიანმა თავი უნდა შეიცნოს, ვინაა იგი, და მოიქცეს ისე, როგორც მის ღირსებას ეკადრება.**

მეცნიერები ამტკიცებენ და არცთუ უსაფუძვლოდ: მადლიერებისა თუ სიძულვილის გამომხატველი სიტყვები, პოზიტიურად და ნეგატიურად მოქმედებენ არა მარტო ადამიანებზე, არამედ მცენარეებზე, ცხოველებსა და წყალზეც კი. ბილწსიტყვაობა აზიანებს მათ გენეტიკას. ქართული გამონათქვამია: „შეძახილმა ხე გაახმო“ და საპირისპიროდ: კეთილი სიტყვა „ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

მცენარეთა მგრძნობელობისადმი მეტი დამაჯერებლობისათვის მკითხველს შევახსენებ, რომ აფრიკაში ხარობს ხის ჯიში, რომელიც მტაცებელთა კატეგორიას განეკუთვნება. მის არეალში სულიერის შესვლა საშიშია, რადგან ტოტები მსხვერპლს აიტაცებენ, სისხლს გამოწოვენ და მისგან მხოლოდ ძვლისა და ხორცის ნარჩენებს ტოვებენ.

ისიც ცნობილია, რომ არსებობენ მცენარეები, რომლის ფოთლები ღამით იკუმშება და ძილს ეძლევა. მტირალა ტირიფების შესახებ, ალბათ, ყველამ კარგად იცის.

ბაბუაჩემის ძმა, ცნობილი კომპოზიტორი და ქველმოქმედი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჰიმნის „დიდების“ ავტორი კოტე ფოცხვერაშვილი თავის ლექციებში მოყვანილი მაგალითებით ამტკიცებდა, რომ ბგერების ზემოქმედებით, მგრძნობიარე მუსიკითა და სიმღერა-გალობის გავლენით, მცენარეთა ნაყოფიერება და ცხოველთა პროდუქტიულობა საგრძნობლად მატულობს.

ჩვენი სასიქადულო პოეტის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ხომ გაჯერებულია იმ ადამიანთა უნარით, რომელთაც ბუნებისა და ცხოველთა ენა გათავისებული ჰქონდათ...

შეგახსენებთ, რომ საგანს, რომელსაც საქართველოს სკოლებში ასწავლიან, „ბუნებისმეტყველება“ ჰქვია.

ცხოველებზე მათთვის მიუღებელი ბგერების ზემოქმედების მაგალითად ჩემი თვალით ნანახი და განცდილი ფაქტიც გამოდგება. გასული საუკუნის 80-იან წლებში, სოხუმში ჩემს მეგობარს მელორ ტყეშელაშვილს ახლობელმა მანქანის იტალიური „სიგნალი“ აჩუქა და მისი პირუტყვების გარემოცვაში გამოყენებისაგან თავშეკავება ურჩია. მეორე დღეს, სოხუმის გარეუბანში, „სიგნალის“ სისტემატიურად მიცემისას, საძოვარზე მყოფი პირუტყვთა ჯოგი ჯერ დაიძაბა, ხოლო შემდეგ ჩვენი მანქანისკენ ისეთი ძალით გამოქანდა, რომ გადათელვას გაქცევით გადავურჩით. ბორჯომში ახლაც ცხოვრობს პიროვნება, რომელიც ბგერების ძალით, ყმუილის იმიტაციით, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში ბინადარ მგლებთან „მეგობრული ურთიერთობა აქვს. სიტყვებისა და ბგერათა მაგიური ძალის ზემოქმედებით ხდება ცხოველთა მოთვინიერება („რა ისმინეს მღერა ყრმისა, სმენად მხეცნიც მოვიდიან“) და ისიც, რომ ისინი ავისმომასწავებელი ბგერებით ბუნებრივ მოვლენებს ყველაზე ადრე, წინასწარ გრძნობენ და რეაგირებენ (ამინდის მკვეთრი გაუარესება, ვულკანის ამოფრქვევა, მთვარისა და მზის დაბნელება, მიწისძვრა და სხვა).

ამერიკელი მეცნიერი რუსტამ როი ამტკიცებს, რომ წყალსაც კი თავისი შეგრძნების სისტემა გააჩნია, რომ იგი, უნიკალური მეხსიერების უჯრედების მეშვეობით, გამდიდრებული და უხრწნელი რჩება.

იაპონელი მეცნიერის ემოტო მასარუს გამოკვლევით „წყალი შეიწოვს და გადასცემს ინფორმაციას ყველაფერზე, რაც მის გარშემო ხდება“... ნეგატიური მოვლენები მას წამლავს. წყლის სტრუქტურაზე პოზიტიურად მოქმედებს სიყვარულისა და მადლიერების სიტყვები. ნეგატიურად — სიძულვილი და გულგრილობა. ოჯახური ბილწსიტყვაობა, მკრეხელობა, სიტყვით გამოხატული ცუდი ყოფითი გარემო



მკვეთრად აზიანებს წყალს. ეკლესია ამით ხსნის ოჯახში ნაკურთხი წყლის გახრწნას.

წყლის მგრძნობელობისა და მისგან ღვთიური მადლის გადმოსვლის ნათელი დასტურია ქრისტეს მიერ მდინარე იორდანეში ჩატარებული პირველი ნათლობა. ეკლესიაში ნაკურთხი წყლის პკურებით ხომ ღვთიური მადლის გადმოსვლა ხდება.

იმ დროს, როცა სრულად დადასტურებულია მცენარეებზე, ცხოველებსა და წყალზე სიტყვის მაგიური ძალის ზემოქმედება, ჩვენ, ადამიანები, ნაკლებად ან საერთოდ არ ვითვალისწინებთ მისი ზემოქმედებით მოსალოდნელ უარყოფით, ზოგჯერ უკიდურესად, გამოუსწორებელ შედეგებს. სიტყვაში გამოსვლისას წარმატებულად მივიჩნევთ ადრესატის ფიზიკურ ნაკლსა თუ სხვა უარყოფით თვისებებზე საუბარს. ანგარიშს არ ვუწევთ საზოგადოებრივ აზრს, ჩვევად ვაქციეთ, ღირსეულთა ჩაქოლვის ფონზე, უვიცთა და უღირსთა გაფეტიშება.

**ბოლო დროს ძალზე მოგვიმრავლდნენ ე.წ. ყიამყრალი, ბილწსიტყვაობით დაავადებული ადამიანები, რომლებიც პრესისა თუ ტელევიზიების საშუალებით ისეთ „მარგალიტებს“ აფრქვევენ, ყურიდან ყურში რომ არ შეიშვება. საწყენი და სამწუხარო ისაა, რომ მათი ავტორები ხშირად საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები არიან: მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, ხელოვნების დარგის მუშაკები, ე.წ. პოლიტიკოსები და პარლამენტარები.**

ბოლო დროს ძალზე მოგვიმრავლდნენ ე.წ. ყიამყრალი, ბილწსიტყვაობით დაავადებული ადამიანები, რომლებიც პრესისა თუ ტელევიზიების საშუალებით ისეთ „მარგალიტებს“ აფრქვევენ, ყურიდან ყურში რომ არ შეიშვება. საწყენი და სამწუხარო ისაა, რომ მათი ავტორები ხშირად საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები არიან: მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, ხელოვნების დარგის მუშაკები, ე.წ. პოლიტიკოსები და პარლამენტარები. არადა, „პირზე მომდგარსა სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა?“.

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი უნდა გაგიკვირდეს ქვეყნის მკვიდრთაგან, რომელსაც სიტყვის გადამთქმელი პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც ამომრჩევლის წინაშე სექსუალური ურთიერთობების მრავალფეროვნებით იწონებს თავს, რომლის გამონათქვამები ელემენტარულად ვერ პასუხობს მოთხოვნებს მოიქცეს ისე, როგორც მის პიროვნებას, გნებავთ, თანამდებობას ეკადრება. ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს მისგანვე გარყვნილების ბუდედ წოდებულ პრეზიდენტყოფილის სასახლეში დავანება.

უფალი ბრძანებს: **„ყოველი სიტყვა, რომელსა იტყოდნიან კაცნი სიტყვათაგან შენ განმართლდე და სიტყვათაგან შენთაგან დაისაჯო“** (მთ. 12, 36, 37) ყურადღებამისაქცევია ფრაზა: „სიტყვათაგან შენთაგან დაისაჯო“. ჩემი აზრით, მისი ნათქვამის გამო, პრეზიდენტი მეორედ არჩევას კი არა, იმთავითვე, როგორც უთავმოყვარო, თანამდებობისთვის შეუფერებელი, იმპიჩმენტს იმსახურებდა.

ქვეყნის პირველი პირის ასეთი გამონათქვამების შემდგომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ „პარტიზანი მებაღეების“ ერთ-ერთი ქალი ლიდერი უკიდურესი ბილწსიტყვაობით პასუხობს ჟურნალისტის კითხვას. არც ის, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ე.წ. „მწერალი რეფორმატორი“ „გვმოძღვრავს“, რომ დედის სხეულის სუნმა, ტუალეტიდან გამოსულს შეიძლება, სექსუალური სურვილებიც აღუძრას.

მახსოვს, ორმოცი წლის წინათ ქუთაისის №3 სკოლა-გიმნაზიის დირექტორმა, ქალბატონმა თამარ დახუნდარიძემ რესპუბლიკური ტელევიზიით გამოსვლისას, რაოდენ დიდი გულისწყრომა გამოხატა სპექტაკლის „ჯაყოს ხიზნების“ ერთ-ერთი სცენის საჯაროდ ჩვენების გამო.

ახალგაზრდა მასწავლებელ ქალთა ერთმა ნაწილმა ქართული ფილმის „ჩრდილი გზაზე“ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, პროტესტის ნიშნად გაკვეთილების ჩატარებაზე უარი განაცხადა მასში ქალი მასწავლებლის შეუფერებელი საქციელის განსაჯაროებისათვის.

მოყვანილი მაგალითის გამო მავანნი, ალბათ, დეპოში ჩარჩენილ „გრიშა ბიძიად“ მომიხსენიებენ, რომელთა გასაგონად მინდა ვთქვა: შეადარეთ ერთმანეთს დღევანდელი და 30-50 წლის წინანდელი საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე, მიმდინარე წელს ხომ საშუალო სკოლებში ჩაიჭრა თერთმეტი ათასი (ყოველი მეოთხე) მოსწავლე. „ეროვნული“, ტრადიციების მატარებელი მაშინდელი და დღევანდელი ვაი-პატრიოტების, ევროპულ-ამერიკული ცხოვრების წესით გაფეტიშებულთა ხედვა, საღად გაითავისეთ მისი მოსალოდნელი შედეგები და ყველაფერი ნათელი იქნება.

სიტყვა დასტამბული თუ ზეპირად ნათქვამი წარმომთქმელის სულში რომ ჩაგახედებს და პიროვნებას მისი განათლების, კულტურისა თუ ზნეობის მიხედვით ისე წარმოგიდგენს, სინამდვილეში როგორიცაა, ამის ნათელ დასტურად ქვემოთ მოყვანილი მაგალითიც გამოდგება.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ გასული წლის ერთ-ერთ ნომერში, ახალგაზრდა მაგისტრის ლევან ლორთქიფანიძის ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც იგი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, ყველასათვის პატივსაცემ პიროვნებას, ბატონ როინ მეტრეველს მწვავედ აკრიტიკებდა და უნივერსიტეტის ნგრევაში მის მონაწილეობაზე საუბრობდა. გაზეთის მომდევნო ნომერში ბატონი როინის ისეთი პასუხი გამოქვეყნდა, როგორც მისი პიროვნების სულიერ სამყაროს ეკადრება. გარდა იმისა, რომ მასში სრულადაა ახსნილი მისდამი წაყენებული ბრალეულობის აბსურდულობა, იგი წერილის ადრესატზე, როგორც დადებით პიროვნებაზე საუბრობს, რომ ლევანი „გამორჩეულია“ თავისი გონიერებით, გავა დრო და მის თანაგუნდელებთან ერთად უფრო ღრმად ჩაიხედავს უნივერსიტეტისა და, საერთოდ, განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებშიო“.

სამწუხაროდ, დღეს ფასი დაკარგა და „სანთლით საძებარია“ ადამიანები, რომელთაც ქართული გამონათქვამი მიესადაგებოდეს: „სიტყვის კაცია!“, „მის ნათქვამ სიტყვას არ ეღალატების!“, „სიტყვის გატეხას თავის გატეხა სჯობს!“... აღარ არიან: ჰაჯი-უსუპები, ცოტნე დადიანები, ქეთევან წამებულები, გიორგი სააკაძეები, მღვდელი თევდორეს მსგავსი ადამიანები. საპირისპიროდ მომრავლდა ადამიანთა ისეთი კატეგორია, რომელთაც „ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“. დაცინვა, დამცირება, ქილიკი, გამასხარავება, აბუჩად აგდება ხომ ჩვენი საქციელის ყოველდღიურობის წესად და ნორმად იქცა. დავკარგეთ ქართველი კაცისათვის ერთ დროს ძვალ-რბილში გამჯდარი, ქალისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების ჩვევა.

ისმის კითხვა, რა ხდება, ვის დავაბრალოთ ყოველივე? მშობლებს, რომლებმაც სიცოცხლე გვაჩუქეს თუ პედაგოგებს, რომელთა მოვალეობა საზოგადოებისთვის მისაღებ ადამიანებად აღზრდაა. ალბათ, ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ამ საკითხში ყველაზე ბრალეული საზოგადოება, ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქენი ვართ. ჩვენ, რომლებიც ამ უმსგავსო საქციელს ყოველდღიურად ვხედავთ, ვუსმენთ და დუმილით ვხვდებით. მასზე რეაგირება ჩვენს მოვალეობად არ მიგვაჩნია.

გულწრფელი ვიყოთ და ვაღიაროთ: ქუჩაში რამდენჯერ მოგვისმენია, როცა მოზარდი თანატოლებთან რაიმეს დასამტკიცებლად მშობელ დედას ისეთ კონტექსტში მოიხსენიებს, რისი განმეორება კი არა, გახსენებაც მზარავს. მოგვისმენია და ვითომც არაფერი. შედეგიც სახეზეა, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, მაგრამ როდემდე? სად მიგვიყვანს ყოველივე ეს და საითკენ მივდივართ?

პირადად მე, კითხვებზე სრულყოფილი პასუხის გაცემა გამიჭირდება. კარგი იქნება, თუ საჯარო სკოლებში, ნებაყოფლობით საფუძველზე, კვირაში ერთხელ მაინც, დაუშვებენ რელიგიური, ქრისტიანული, მართლმადიდებლური მოძღვრების სწავლების კურსს, რომლის წაყვანა სპეციალურად მომზადებულ ღვთისმსახურებს უნდა მივანდოთ. ასევე აუცილებლად ვთვლი, როგორც ყველა ქრისტიან მორწმუნეს, სკოლებსაც თავისი მოძღვარი ჰყავდეს. შემთხვევითი არ იყო, რომ დიდი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლებში სწავლა „მამაო ჩვენოთი“ იწყებოდა, და გაკვეთილის დაწყება-დამთავრებაც შესაბამისი ლოცვებით აღინიშნებოდა; მჯერა, რომ ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე, თავად ეკლესია მიგვიყვანს. ამასთან დროა, ყოველგვარი იმუნიტეტის გარეშე, სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს ყველას, ვისაც ბილწსიტყვაობა თავისი ლექსიკის ნორმად უქცევია.

**ბორის ფოცხვერაშვილი,**
**სამტრედია**
**(მობ. 577 42 26 25)**

# ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი

## გიორგი V აბაშიძე

პაატას ძე, იმერეთის მეფე 1701-1703 წლებში. თავიდან სასულიერო მოწესე იყო მალაქია ბერის სახელით. მერე ბერობას თავი დაანება და ნაბერალმა იმერეთის თავადთა შორის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის მდგომარეობა დაიმკვიდრა. 1701 წელს მამია III გურიელს მისივე სიძე სვიმონ მეფე მოაკვლევინა და იმერეთის ტახტზე მამია აიყვანა, მაგრამ იმავე წელს მამია აიძულა ტახტი მიეტოვებინა და ტახტზე თვითონ დაჯდა. ორი წელი იმეფა, უფრო ღირსეულადაც, ვიდრე მისმა თანამედროვე იმერეთის მეფეებმა. ქვეყანა შეკრა და შეამტკიცა, ციხეები გაამაგრა. ოსმალეთს ხარკის მიცემა შეუწყვიტა, 1703 წელს 80-ათასიანი ოსმალური არმია შეესია იმერეთს. ამ „დიდ თურქობას“ ქართველები მედგრად დაუხვდნენ, მაგრამ რიცხობრივმა სიმრავლემ თავისი გაიტანა და გიორგი აბაშიძეც იძულებული გახდა, ტახტზე უარი ეთქვა ალექსანდრე IV-ს ძმის, გიორგი VI-ის სასარგებლოდ.

## მამია III გურიელი

ძე გიორგი III გურიელისა, გურიის მთავარი 1689-1711 წწ. იმერეთის მეფე 1701, 1711 და 1713 წლებში. მამია გიორგი აბაშიძის პირველობას ვერ ურიგდებოდა, ქართლში გაქცეული სვიმონ ალექსანდრეს ძე ოსმალთა დახმარებით უკანვე იმერეთის ტახტზე დააბრუნა და ცოლად თავისი დაი შერთო. გიორგი აბაშიძემ მაინც აცდუნა იგი: იმერეთის მეფობის აღთქმით საკუთარი სიძე-მეფე მოაკვლევინა 1701 წლის დამდეგს. თვითონ კი დაიდგა თავზე იმერეთის სამეფო გვირგვინი, მაგრამ გიორგი აბაშიძისა და სხვა თავადთა „თვითნებობას“ ვერ გაუძლო, იმავე წელს მეფობას თავი დაანება და გურიის მთავრობას დაუბრუნდა. იმერეთის ტახტი გიორგი აბაშიძემ დაისაკუთრა და ორი წლით შეინარჩუნა (1701-1702). ამის შემდეგ რვა წელიწადი (1703-1711) გიორგი VI-მ იმეფა იმერეთში. 1711 წ. კი თავადებმა გიორგი VI დაამხეს და ისევ მამია გურიელი გაამეფეს. გიორგი ტახტის დაკარგვას არ შეურიგდა, 1712 წ. ჩხართან გამართულ ბრძოლაში გაიმარჯვა და იმერეთის გვირგვინი კვლავ მოიპოვა, მაგრამ მამიამ კიდევ ერთხელ შეძლო იმერეთის ტახტის მოპოვება. 1713 წ. ოკრიბასთან გამართულ ბრძოლაში თავადებმა გიორგი VI ისევ დაამარცხეს, გააქციეს და იმერეთის მეფედ ისევ მამია გურიელი გამოაცხადეს, ამის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა – 1714 წ. დაკრძალეს შემოქმედში, გურიის მთავართა საძვალეში.

## გიორგი VI

ძე ალექსანდრე IV-ისა, სვიმონის უმცროსი ძმა, იმერეთის მეფე 1703-1711, 1713, 1714-1716 და 1718-1720 წლებში. იგი ჯერ ქართლის ხიზნობაში იყო, ერეკლე I-თან თავშეფარებული, მერე ახალციხეს გადავიდა და ისაყ ფაშას შეეფარა. 1703 წ. იმერეთში შეჭრილმა ოსმალებმა გიორგი აბაშიძე დაამხეს და ქუთაისის ტახტზე გიორგი ალექსანდრეს ძე დასვეს. ეს მეფუკა მუდმივ სიკვდილის შიშში იყო და ამიტომ ქუთაისის ციხეში შეიკეტა. დროც დაუდგა: როცა თავადებს შორის ჩვეულებრივი უთანხმოება გამწვავდა, იმერეთის საქმეებში ქართლის ჯანიშინი ვახტანგიც ჩაერია და ჯერ ისევ ძლიერი გიორგი აბაშიძე დააკნინეს.



**დასასრული. დასაწყისი იხ. №236, 241 (2016), №2, 8, 20-21, 33, 67, 74-75, 88, 93, 97,102,106,111,116.**

1709 წელს გიორგი მეფემ ფარცხანაყანევთან ბრძოლაში გაიმარჯვა და მდგომარეობა ერთხანს განიმტკიცა. მაგრამ ბოლოს, 1711 წელს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის მესვეურებმა გიორგი VI დამხობილად გამოაცხადეს და მის ნაცვლად მამია გურიელი გაამეფეს. გიორგი ქართლში გაიქცა ვახტანგ ჯანიშინთან, იქიდან კი – ახალციხეში ისევ ისაყ ფაშასთან. ახალციხიდან დასავლეთ საქართველოს თავადთა ნაწილი მიიმხრო, იმერეთშიც გადავიდა და ჩხართან გამართულ ბრძოლაში გაიმარჯვა (1713 წ.). ისევ ავიდა ტახტზე, მაგრამ იმავე წელს ოკრიბის ბრძოლაში ისევ დამარცხდა და ტფილისს გაიქცა. მესამედ ავიდა ტახტზე მამია III გურიელი, თუმცა მალე (1714 წ.) გარდაიცვალა. მაშინ გიორგი VI დაბრუნდა ტახტზე, ამჯერად ორი წლით (1714-1716). 1716 წელს თავადთა მოქრთამვა-მოწვევით ახალციხიდან ასლან ფაშა შემოვიდა იმერეთში. სიმონეთთან გამართულ ბრძოლაში გიორგი VI დამარცხდა და ისევ ქართლში გაიქცა. გამარჯვებულებმა მეფედ გიორგი III გურიელი გამოაცხადეს. 1718 წელს გიორგი VI-მ კვლავ დაიბრუნა მეფობა თურქთა დახმარებით 1718 წ. მაგრამ ორი წლის შემდეგ, ნადიმობის დროს შეთქმულებმა მოკლეს, დაკრძალეს გელათს.

## გიორგი IV გურიელი

იხილეთ „გიორგი VI“

## ალექსანდრე V

ძე გიორგი VI-ისა, იმერეთის მეფე 1720-1740 და 1741-1752 წწ. მამამისის მკვლელობის დროს ალექსანდრე ბატონიშვილი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის კარზე იყო. ვახტანგს და ისაყ ახალციხის ფაშას სურდათ მისი იმერეთის ტახტზე აყვანა. ისაყ ფაშამ ოსმალთა და მესხთა ჯარით შეიყვანა იმერეთში ალექსნადრე, ბეჟან დადიანმა და ზურაბ აბაშიძემ წინააღმდეგობის გაწევა ამაოდ სცადეს. 1720 წელს ალექსანდრე ტახტზე ავიდა. მისი დრო თურქ-ოსმალთა დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული გაძლიერებისა და გავრცელების დროდ იქცა. გრძელდებოდა ყველაზე სამარცხვინო ტრაგედია ქართველთა შორის – ტყვის სყიდვა. ალექსანდრეს დასამხობად ისევ შეითქვნენ ოტია დადიანი, გრიგოლ რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე. 1734 წ. ჩხართან გამართულ ბრძოლაში ალექსნადრემ გაიმარჯვა, მაგრამ შინა ომები არ წყდებოდა. 1741 წ. დასავლეთ საქართველოში პირველად გამოჩნდნენ ლეკი მოთარეშენი. ესეც ალექსანდრე V-ის „დამსახურება“ იყო. სწორედ მან მოიწვია ლეკები ურჩთა დასათრგუნად, იმავე 1741 წელს თავადებმა ოსმალთა დახმარებით ალექსანდრე ტახტიდან ჩამოაგდეს და მისი ძმა გიორგი (გიორგი VII) გაამეფეს, მაგრამ იმავე წელს ალექსანდრემ ოსმალებთან შერიგება მოახერხა და მათი დახმარებით ტახტი დაიბრუნა. 1752 წელს ალექსანდრემ დიდი მკრეხელობა ჩაიდინა – გელათში დასვენებული განთქმული ხახულის ხატი გაძარცვა, რამდენიმე დღეში მეფე-მძარცველს „წამოსცვივდა ორთავ თვალნი“. დაბრმავებული მეფე ერთ თვეში კიდეც მოკვდა. დაკრძალეს გელათს.

## გიორგი VII

იხილეთ „ალექსანდრე V“

## სოლომონ I დიდი

შუათანა ძე ალექსანდრე V-ისა, ერთ-ერთი დიდი მეფე საქართველოსი, იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში. დაიბადა 1735 წ. 17 წლისა შეუდგა შინაფეოდალური ანარქიისა და ოსმალური უღლით დაცემული ქვეყნის აღდგენასა და განმტკიცებას. მეფემ გააუქმა ხალხის კისერზე დაწოლილი გადასახადები – საური და საუდიერო, რომელთაგან დიდი წილი ოსმალეთის სასულთანოს მიჰქონდა, დანარჩენი კი – ადგილობრივ ფეოდალს. რაც მთავარია, სოლომონმა სრული სისასტიკით აკრძალა ტყვეთა სყიდვა. 1757 წელს ოსმალთა 44-ათასიანი არმია შემოესია იმერეთს. სოფელ ხრესილთან გამართულ ბრძოლაში სოლომონმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. 1758 წ. გორში ურთიერთდახმარების კავშირი შეკრეს სოლომონმა, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ. მეფის მტერთაგან პაპამისი ლევან აბაშიძე ხრესილის ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო როსტომ რაჭის ერისთავი კი ღალატსა და ოსმალეთთან კავშირს არ იშლიდა. ბოლოს, სოლომონმა როსტომს და მის ვაჟებს თვალი დასთხარა და რაჭის საერისთავო გააუქმა.



სოლომონიც, როგორც თეიმურაზ II და ერეკლე II, რუსეთის საიმპერატორო კარს სთხოვდა თავისი სამეფოს „მფლობელობაში“ აყვანას. 1769 წელს ეკატერინე II-ისგან გამოგზავნილი გენერალი ტოტლებენი იმერეთში შევიდა, მაგრამ ტოტლებენის ჩამოსვლა არც ერეკლეს და არც სოლომონს არ გამოსდგომია. 1771 წ. ტოტლებენის ნაცვლად გენერალი სუხოტინი მოვიდა იმერეთში, მაგრამ მისი მოსვლაც ამაო და უვარგისი აღმოჩნდა. სოლომონი კვლავ მარტო ებრძოდა სამხრეთიდან მოწოლილ მაჰმადიანურ ძალებს. ოსმალთა შემოსევები კი გრძელდებოდა. სოლომონიც წარმატებით იგერიებდა. 1779 წელს სამეგრელოში ჩამოდგნენ თურქ-ოსმალნი, სოლომონი დადიანს მიეშველა და რუხის ციხესთან გამართულ ბრძოლაში ქართველებმა ერთხელ კიდევ სასტიკად დაამარცხეს ოსმალნი. 1784 წელს გურიას შემოესივნენ ოსმალები. ჩავიდა სოლომონი გურიაში. გაიმარჯვა და შეტევა ზღვისპირისკენ, აჭარის გასათავისუფლებლად განავითარა. მაგრამ იქ, ნაჭისკრევის ვიწრო გასასვლელში ჩასაფრებულმა ოსმალებმა დაამარცხეს და უკუაქციეს სოლომონი. იმავე 1784 წელს სოლომონ მეფე უეცრად გარდაიცვალა. დაიკრძალა გელათს, იმეფა და იღვაწა 32 წელიწადი, აღესრულა 49 წლისა.

## დავით II

ძე გიორგი VII-ისა, ბიძაშვილი სოლომონ I დიდისა, იმერეთის მეფე 1784-1789 წლებში. სოლომონის სიკვდილისთანავე იმერეთის ტახტისთვის პირისპირ დადგა ორი დავითი – მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე და ძმისშვილი დავით არჩილის ძე. სოლომონის ანდერძით ტახტზე დავით არჩილის ძე უნდა ასულიყო, მაგრამ კაცია დადიანის, პაპუნა და ზურაბ წერეთლების, ბერი წულუკიძის მხარდაჭერით ქუთაისის ტახტი დავით გიორგის ძემ დაიკავა. გამეფებისთანავე დავით II-მ რუსეთში ელჩები გაგზავნა და რუსთხელმწიფეს მფარველობა და ქვეშევრდომობა სთხოვა. ამით მან ოსმალეთიც გადაიმტერა და ადგილობრივი თავადებიც. თითქმის ყველასთან, ვინც მანამდე მისი მომხრე იყო, მეფემ ურთიერთობა წაიხდინა. 1789 წ. დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე ერთმანეთს საომრად შეხვდნენ სოფელ მათხოჯთან. დავით გიორგის ძე დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა. იმერეთის ტახტზე ავიდა დავით არჩილის ძე ახალი სახელწოდებით – სოლომონ II.

1790 წ. დავით II ოსმალთა და ლეკთა ჯარით ქუთაისს გადმოიჭრა და „ახალ სოლომონს“ ტახტი წაართვა. მაშინ იმერეთის საზოგადოებამ ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს დელეგაცია გაუგზავნა და მის სამეფოსთან იმერეთის შეერთება სთხოვა. ერეკლემ ის იკმარა, რომ სოლომონ II-ეს დასახმარებლად და ტახტზე აღსადგენად ჯარი გაუგზავნა. 1790 წელს ამ ჯარით და თავისი მომხრეებით სოლომონმა დავით II სასტიკად დაამარცხა და იმერეთის ტახტზე დაემყარა. დავით II-მ კიდევ ერთხელ სცადა ტახტის დაბრუნება ლეკების დახმარებით, მაგრამ დამარცხდა და ახალციხეს გადაიხვეწა, იქვე მოკვდა და დაიმარხა.

## სოლომონ II

არჩილის ძე, სოლომონ I-ის ძმისწული, იმერეთის მეფე 1789-1810 წლებში. საქართველოს უკანასკნელი გვირგვინოსანი. დაიბადა 1772 წელს. სახელად დაერქვა დავითი. იზრდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, პაპამის – ერეკლე მეფესთან (დედამისი ელენე, ერეკლე II-ის ასული იყო). სოლომონ I-მაც რაკი თვითონ ძე არ გაუჩნდა, თავის სიცოცხლეშივე იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ძმისწული დავით არჩილის ძე გამოაცხადა, მაგრამ ეს ანდერძი არ შესრულებულა. სოლომონ I-ის გარდაცვალებისთანავე იმერელმა თავადებმა ტახტზე აიყვანეს მეორე დავითი – სოლომონის ბიძაშვილი. ეს მოხდა 1784 წელს, ხოლო ხუთი წლის შემდეგ 1789 წელს ორ მეტოქე დავითს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა სოფელ მათხოჯთან. დავით არჩილის ძემ გაიმარჯვა და სოლომონ II-ის სახელით ავიდა იმერეთის ტახტზე.

მეფე სოლომონ II ცდილობდა დასავლეთ საქართველოში შინაგან ძალთა გაერთიანებას. 1795 წ. სოლომონ II ორიათასიანი ლაშქრით პაპის – ერეკლე II-ის დასახმარებლად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ საომრად.



1800-იან წლებში საქართველოში რუსეთის საიმპერიო მმართველობა მკვიდრდებოდა. უკვე აღარ არსებობდა ქართლ-კახეთის სახელმწიფო. 1804 წელს სოლომონ II იძულებული გახდა ხელი მოეწერა ელაზნაურის ზავისთვის, რომლის ძალითაც იგი ცნობდა რუსეთის „მფარველობას“ იმერეთის მიმართ. იგი ტახტის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა, 1810 წლის 20 თებერვალს ქუთაისში რუსული ხელისუფლება გამოცხადდა. სოლომონი მოტყუებით თბილისში ჩაიყვანეს, მაგრამ გამოექცათ და ახალციხეს გადავიდა. იქიდან იმერეთში ჯერ მოწოდებები გამოგზავნა სრულიად ერის მიმართ, მალე თვითონაც გადმოვიდა და აჯანყება დაიწყო. ჯერ წარმატებები ჰქონდა, მაგრამ ბოლოს დამარცხდა და ისევ ახალციხეში გადაიხვეწა. ახალციხიდან ტრაპიზონში გადავიდა და ახლა იქიდან აპირებდა შეუძლებელს – კოალიციის შედგენას რუსეთის წინააღმდეგ. იქვე ტრაპიზონში უწია სიკვდილმა 1815 წელს, იქვე დაკრძალეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში. 1990 წელს საქართველოში გადმოასვენეს, დაკრძალეს გელათში. ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

**მოამზადა ალეკო ასლანიშვილმა**

ჭადრაკი

# საათებს ხვალ ჩართავენ

**ხანტი-მანსიისკში ხვალ დაიწყება მოჭადრაკეთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ქალ-ვაჟთა 10-10 გუნდი წრიული სისტემით იბრძოლებს მედლებისთვის. მანდილოსანთა ტურნირში საშუალო რეიტინგით მესამე ნომრადაა განთესილი საქათველოს ნაკრები (2459). მის ღირსებას დაიცავენ ევროპის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია. გუნდის მწვრთნელი და კაპიტანია დიდოსტატი დავით ჯოჯუა. ჩვენმა გუნდმა ორი წლის წინათ ჩინეთში მოიპოვა ჩემპიონობა და ხანტი-მანსიისკში მის დაცვას შეეცდება. ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტია რუსეთის ქალთა ნაკრები (2508), ხოლო მეორე ადგილზეა ჩინეთი (2499), რომელსაც მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ჰოუ იფანი არ ეყოლება. საშუალო რეიტინგით მეოთხე-მეათე ადგილებზე არიან ინდოეთი (2417, არ ითამაშებს ჰამპი კონერუ), პოლონეთი (2415), უკრაინა (2406, ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვეს დებმა — ანა და მარია მუზიჩუკებმა), აზერბაიჯანი (2329), აშშ (2324), ვიეტნამი (2323) და ეგვიპტე (1994).**

ვაჟთა ტურნირში იასპარეზებენ: რუსეთი (2724), ჩინეთი (2720), უკრაინა (2675), აშშ (2670), პოლონეთი (2665), ინდოეთი (2657), ბელარუსი (2601), თურქეთი (2583), ნორვეგია (2510) და ეგვიპტე (2404). მამაკაცთა ფავორიტი გუნდები საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით იბრძოლებენ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის. რუსებს არ ეყოლებათ სერგეი კარიაკინი და ვლადიმირ კრამნიკი, ამერიკელებს — ფაბიანო კარუანა, ვესლი სო და ჰიკარუ ნაკამურა, ინდოელებს — ვიშვანათან ანანდი, ნორვეგიელებს — მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი. ისინი ამჟამად ნორვეგიული სტავანგერის სუპერტურნირში მონაწილეობენ. აქ 10 უძლიერესი დიდოსტატი ეცილება ერთმანეთს პირველობას წრიული სისტემით. შვიდი ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: ლევონ არონიანი (სომხეთი) — 5, ჰიკარუ ნაკამურა — 4.5, ანიშ გირი (ჰოლანდია), ვლადიმირ კრამნიკი — 4-4, ვესლი სო — 3.5, სერგეი კარიაკინი, ვიშვანათან ანანდი, ფაბიანო კარუანა — 3-3, მაქსიმ ვაშიე — ლაგრავი, მაგნუს კარლსენი — 2.5-2.5 ქულა.

უკრაინელებს ვერ დაეხმარება ვასილი ივანჩუკი, რადგან იგი პრაღაში დავიდ ნავარას (ჩეხეთი) შეხვდება. მეტოქეები რაპიდში 12 პარტიას ითამაშებენ.

**ლაშა დიდია**



ხელბურთი

# ჩვენ თურქეთი გვერგო



**პაექრობა ლუქსემბურგელებთან დათმეს, მაგრამ მომდევნო ორი მატჩი მოიგეს და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.**

**12 ივნისს ბულგარულ გაბროვოსა და ველიკო ტირნოვოში დაიწყო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (IHF) განვითარებადი ქვეყნების ვაჟთა ჩემპიონატი (25-წლამდელებში), რომელიც ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირიცაა. მასში 16 ქვეყნის ნაკრები ევროპის პირველობის შესარჩევი რაუნდის სამი საგზურისთვის ბრძოლაში ჩაება. საქართველოს ნაკრები (ხანდოლიშვილი, ხარაიშვილი, ორჯონიკიძე, ბულბულაშვილი, რუსტამოვი, ცხოვრებაძე, ყორიაული, ბაინაზიშვილი, არსენაშვილი, გოგავა, მერკვილაძე, დიხამინჯია, მიქავა, იობაშვილი, მწვრთნელები- ორჯონიკიძე, პორტნოი) B ჯგუფში მოხვდა. ჩვენმა ხელბურთელებმა სასტარტო**

**I ტური**

ლუქსემბურგი-საქართველო 35:29, მალტა-ბრიტანეთი 18:24.

**II ტური**

საქართველო-ბრიტანეთი 34:26, ლუქსემბურგი-მალტა 39:27.

**III ტური**

ბრიტანეთი-ლუქსემბურგი 30:37, საქართველო-მალტა 28:20.

**B ჯგუფი:** ლუქსემბურგი — 6 ქულა, საქართველო — 4, დიდი ბრიტანეთი — 2, მალტა — 0 ქულა.

**A ჯგუფი:** თურქეთი — 6, კოსოვო- 4, ირლანდია — 2, ალბანეთი — 0 ქულა.

**C ჯგუფი:** კვიპროსი — 6, ბულგარეთი — 4, აზერბაიჯანი — 2, ანდორა — 0 ქულა.

**D ჯგუფი:** ფარერის კუნძულები — 6, ჩინეთი- 4, მოლდოვა — 2, სომხეთი — 0 ქულა.

**დღეს მეოთხედფინალში ითამაშებენ:** თურქეთი — საქართველო (ველიკო ტირნოვო), კვიპროსი — ჩინეთი (გაბროვო), ლუქსემბურგი — კოსოვო (ველიკო ტირნოვო), ფარერები — ბულგარეთი (გაბროვო).

ხვალ ნახევარფინალები გაიმართება, 18 ივნისს კი შესარჩევის საგზურების მფლობელები გამოვლინდებიან.

**ლექსო ცინცაძე**

რაგბი

# თურმე ლომებიც მარცხდებიან

**„ფორსიტ ბარ სთედიუმზე“ გამართული დაპირისპირება თანაბარ ბრძოლაში გაილია და მასპინძლებმა მხოლოდ 1 ქულით იმარჯვეს. პირველ ნახევარში გუნდებმა თითო გარდასახული ლელო დადეს, ამდენივე ჯარიმა გაიტანეს და ტაიმი 10:10 დასრულდა.**

მეორე ნახევარი ლომების იერიშით დაიწყო: 43-ე წუთზე ტომი სიმურმა შესანიშნავად ითამაშა და ბრწყინვალე ინდივიდუალური ლელო დადო. დენ ბიგარმა ამჯერად გარდასახვა ზუსტად ვერ შეასრულა და ანგარიში 10:15 დარჩა. 50-ე წუთზე სოპოაგამ ჯარიმა გაიტანა და სხვაობა შეამცირა, ხოლო 3 წუთში “ჰაილენდერსი“ ამჯერად უორბარტონმა დაალელოვა, გარდასახვა კი ბიგარმა ზუსტად შეასრულა და სხვაობა უკვე 13:22 გახდა.

მასპინძლებმა უკანასკნელ 20 წუთში ივარგეს: 60-ე წუთზე ლელო კოლტმენმა გაიტანა, ხოლო ბენქსმა გარდასახვა უნაკლოდ შეასრულა. იგივე ბენქსმა 74-ე წუთზე უკვე ჯარიმა გაიტანა და “ჰაილენდერსმა“ 23:22 მოიგო.

**ჰაილენდერსი — ბრიტანელი და ირლანდიელი ლომები 23:22 (10:10)**

**ჰაილენდერსი:** 2 ლელო — ნაჰოლო (26), კოლტმენი (60); 3 ჯარიმა — სოპოაგა (5; 50), ბენქსი (74); 2 გარდასახვა — სოპოაგა (27), ბენქსი (62)

**ბრიტანელი და ირლანდიელი ლომები:** 3 ლელო — ჯოზეფი (30), სიმური (43), უარბარტონი (53); 1 ჯარიმა — ბიგარი (16); 2 გარდასახვა — ბიგარი (31; 54)

მომდევნო მატჩს ლომები ხვალ „მაორი ოლ ბლექსის“ წინააღმდეგ გამართავენ.

**კობა კობახიძე**



კალათბურთი



# მართლაც ბრილიანტის კონტრაქტი

**„გოლდენ სტეიტის“ ერთ-ერთი ლიდერი სტეფ კარი კლუბისგან ახალ 5-წლიან კონტრაქტს ითხოვს, რაშიც კალათბურთელი 205 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს. აღნიშნულთან დაკავშირებით კლუბის მფლობელმა ჯო ლეიკობმა კომენტარი გააკეთა.**

„ასეთი წინადადების მისაღებად მზად ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კარი გუნდში დარჩეს და ჩვენ მის წინადადებას მივიღებთ. ვიცი, რომ მას ჩვენთან დარჩენა სურს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერზე შევთანხმდებით“ — განაცხადა ლეიკობმა.

კარის ამჟამინდელი კონტრაქტი ზაფხულში ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# ტოლისო „ბაიერნის“ ფეხბურთელია



**„ლიონის“ აწ უკვე ყოფილი ცენტრალური ნახევარმცველი კორენტინ ტოლისო კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ განაგრძობს. აღნიშნული ინფორმაცია გერმანული გრანდის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა დაადასტურა.**

რეკორდმაისტერმა 22 წლის ფეხბურთელში 41.5 მილიონი ევრო გადაიხადა და კონტრაქტი 2022 წლამდე გაუფორმა.

ტოლისომ გასულ სეზონში „ლიონის“ მაისური 47-ჯერ მოირგო, 14 გოლი გაიტანა და 7 საგოლე გადაცემა გააკეთა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# მარინას გზა წარუმატებელი ჩოგბურთელობიდან სუპერმოდელობამდე

**მაშინ, როდესაც მთელს მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული, წარმოშობით ბელარუსი მოდელი მარინა ლინჩუკი ჩოგბურთით იყო დაკავებული, მისი სახელი სპორტულ წრეებში ულრმესად ჩახედულმა ხალხმა თუ იცოდა. ახლა კი, როდესაც სუპერმოდელია, ამ ქალის სახელი ყველას აკერია პირზე.**

უკვე სამ წელზე მეტია, რაც მარინა ლინჩუკი საცხოვრებლად და სამუშაოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა და თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ცნობილი ფერადყდიანი ჟურნალი, რომლის ფურცლებზეც ამ გოგონას ფოტოები არ გამომზეურებულიყო, რამაც მარინას არნახული ცნობადობა მოუტანა.

დღეს მარინა ლინჩუკს თავისი ბელარუსული წარსულისა და წარუმატებელი სპორტული კარიერის გახსენება დიდად არ ხიბლავს და უფრო მეტად მომავალზე საუბარი იტაცებს. ეს ნამდვილად არაა გასაკვირი, რადგან კარგი მომავალი „მეჭყანებაო“ — ვინ ვინ და ამ მოდელმა ნამდვილად უნდა თქვას...

**როსტომ რაჭველიშვილი**



# ახალგორელი ქართველები ცხინვალის რეჟიმის მძევლები არიან!

**დე ფაქტო მარიონეტი ლიდერები ქართველების მიმართ ხისტ მიდგომაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ე.წ. თვითგამოცხადებულმა პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმაც ამჯერად სხვის კუთვნილ სახლებს შეავლო თვალი და გადაწყვიტა, ოსები შეასახლოს ბოლო ხუთ წელიწადში ახალგორელი ქართველებისგან მიტოვებულ შენობებში.**

ხოლო, ვისაც სახლების შენარჩუნება სურს, შეუძლია, ბიბილოვის „სულგრძელობით“ ისარგებლოს და საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა მიიღოს; თანაც, წერილობითი განაცხადი შეიტანოს ცხინვალის რეჟიმის დე ფაქტო უშიშროების სამსახურში.

ბიბილოვს არც ის ხიბლავს, რომ ახალგორის სკოლებში სწავლება ქართული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. ამიტომ მისი ბრძანებით, ქართულს რუსული ჩაანაცვლებს, ხოლო ახალგორელებისთვის მშობლიური ქართული მხოლოდ რიგით საგნად გადაიქცევა.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ახალგორში დაწყებულ მორიგ რეპრესიებს ერთ მთლიან კონტექსტში განიხილავს და მას რუსეთის ანექსიის ახალი ტალღის დაწყებას უკავშირებს, რაც ცხინვალის რეგიონის მიერთებას გულისხმობს რუსეთის ფედერაციასთან.

For.ge-სთან საუბარში ექსპერტი აცხადებს, რომ ჩვენს მოქალაქეებს ასეთი შანტაჟით აიძულებენ, ჯერ დე ფაქტო ოსეთის, შემდეგ კი რუსეთის მოქალაქეობა მიიღონ. საბოლოო მიზანია, ამ ფორმით „სამართლებრივად“ გაიმყარონ თავიანთი პოზიციები, რათა მერე თქვან, თითქოს რუსეთის ფედერაციაში ცხინვალის რეგიონის შესვლას არც ქართული მოსახლეობა ეწინააღმდეგება.




ამავე დროს, რუსულ პრესაში უკვე გახმიანდა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის სურკოვის ნათქვამმა, რომ მალე მთლიანად მოიხსნება სახელმწიფო საზღვარი ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის და ძალოვანი სტრუქტურების გაერთიანების შემდეგ ეს იქნება მორიგი კონკრეტული ნაბიჯი ცხინვალის მიმართულებით.

**„ასე რომ, გასაგებია, საითაც მიდის „ქარავანი“. თიბილოვი შემთხვევით არ ჩაანაცვლეს ბიბილოვით, რომელიც პირდაპირ მომხრეა რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონის ანექსიის პროცესის დაწყების. უკვე იკვეთება ყირიმიზაციის რეალური კონტურები და ეს არის აპარტეიდი ქართველების მიმართ ცხინვალის რეგიონში“,** — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ და შეკითხვის საპასუხოდ, სახლების დაკარგვის შიშით დათანხმდებიან თუ არა ქართველები დე ფაქტო მოქალაქეობას, განმარტა, რომ ახალგორელი ქართველების ნაცვლად რთულია ამაზე საუბარი.

მით უმეტეს, რომ ყველასთვის გასაგებია მათი მძიმე მდგომარეობა. სამწუხაროდ, საქართველოსაც არ აქვს შესაძლებლობა, ახალგორელებს უკეთესი სოციალური, ეკონომიკური პირობები შესთავაზოს. ჩვენი ქვეყნიდან ხომ არალეგალური მიგრაციის მაღალი მაჩვენებელია.

ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ **კახა გოგოლაშვილი** მოკლევადიან პერსპექტივაში ცხინვალის რეგიონში შექმნილი ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ხედავს. For.ge-სთან საუბარში იგი აცხადებს, რომ რუსეთის პოზიცია იმდენად ხისტი და აბსოლუტურად არამეგობრულია, რომ, რა თქმა უნდა, ოსები თამაშობენ თავიანთ თამაშს ცხინვალის რეგიონში. თუმცა, ამავდროულად, ეს ყველაფერი კოორდინაციაშია რუსეთის მთავრობასთან. ეს არის მაქსიმალური ზეწოლა საქართველოზე, რათა ჩვენს მოსახლეობას შეურყიონ რწმენა, რომ საქართველოსაც შეუძლია იყოს დამოუკიდებელი და რუსეთის გარეშე გადაწყვიტოს თავისი პოლიტიკა, გაწევრიანდეს თუ არა ევროკავშირში ან ნატოში.

**„ვფიქრობ, გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ მაინც გვაქვს იმის შანსი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით მოვიგოთ ეს რაუნდი. ვიმედოვნებ, დასავლეთი იქნება, აღმოსავლეთი, თუ ვინც იქნება, საერთაშორისო თანამეგობრობა უფრო კონსოლიდირებული გახდება და რუსეთს არ მიეცემა საშუალება, ასე გაანადგუროს თავისი მეზობელი ქვეყნები“.**

**მანანა ნოზაძე**



## თურქეთმა სირიის საზღვარზე 700-კილომეტრიანი კედელი ააშენა

**თურქეთმა სირიის საზღვარზე დამცავი კედლის მშენებლობა დაასრულა. ამის შესახებ გამოცემა „ჰურიეთი“ იტყობინება. თურქეთის თავდაცვის მინისტრის ფიქრი იშიკის განცხადებით, დამცავი ბარიერი მიზნად ქვეყანაში ტერორისტების შედინების პრევენციას ისახავს.**

**კედელი 700 კილომეტრის სიგრძისაა და უსაფრთხოების თანამედროვე ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი.**

## ლონდონში მსხვერპლი გაიზარდა

**ლონდონში ხანძრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 17-მდე გაიზარდა. ამის შესახებ ქალაქის პოლიციის წარმომადგენელმა სტიუარდ კანდიმ განაცხადა. მისივე თქმით, მსხვერპლი სავარაუდოდ, კიდევ გაიზრდება. ხანძარი 24-სართულიან საცხოვრებელ სახლს 13 ივნისის ღამეს გაუჩნდა. შენობა ხანძარმა მთლიანად გაანადგურა.**

## „მაინ კამპფს“ ჰიტლერის ავტოგრაფით აუქციონზე გაყიდიან

**ბრიტანეთში ადოლფ ჰიტლერის „მაინ კამპფის“ იშვიათ ეგზემპლარს აუქციონზე გაყიდიან. წიგნი 1935 წელს არის გამოცემული. მას ნაცისტთა ლიდერის ავტოგრაფი აქვს. „მაინ კამპფი“ პირველად 1925 წელს გამოიცა. მასში ჰიტლერის პოლიტიკური იდეოლოგია და მისი მომავალი გეგმებია ასახული.**

## პუტინი: რუსეთი ყოველთვის სანქციების ქვეშ ცხოვრობდა

**„რუსეთის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველთვის სანქციების ქვეშ ვცხოვრობდით.“ ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა „პირდაპირი ხაზის“ კონფერენციაზე განაცხადა.**

**„როგორც კი ფეხზე წამოდგომას დავაპირებდით და ჩვენი პარტნიორები რუსეთში კონკურენტს იგრძნობდნენ, სხვადასხვა მიზეზით შეზღუდვებს გვიწესებდნენ. ახლა ყირიმით აპელირებენ. რომ არ ყოფილიყო ყირიმი, სხვა მიზეზს მოიგონებდნენ,“ — აღნიშნა პუტინმა.**

## ჩეხეთს, უნგრეთსა და პოლონეთს სანქციები ელის

**ევროკომისიამ ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო. პრაღას, ვარშავასა და ბუდაპეშტს ევროკავშირის მიერ დაწესებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ. საქმე ეხება ლტოლვილების განაწილებაზე დაწესებულ კვოტებს. ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი მიგრანტთა მიღებაზე უარს აცხადებენ, რის გამოც მათ შესაძლოა, სანქციები დაუწესდეს.**

## 135 ათასდოლარიანი ჯარიმა „ბარსელონას“ მაისურის ტარებისთვის...




**არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა ქვეყანაში „ბარსელონას“ საფეხბურთო კლუბის ფორმის ტარება აკრძალა. ამის მიზეზი კი ტიტულოვანი კლუბის მაისურზე დატანილი Qatar Airways-ის ლოგოა. კანონდამრღვევს კი 135 ათასდოლარიანი ჯარიმა და 15-წლიანი პატიმრობა ემუქრება.**

**თავის მხრივ „ბარსელონას“ მოთამაშეებმაც უარი განაცხადეს ანალოგიური მაისურებით თამაშზე, სადაც Qatar Airways-ის ლოგიოა განთავსებული. მით უმეტეს, რომ კლუბსა და ავიაკომპანიას შორის დადებულ ხელშეკრულებას ვადა 30 ივნისს ეწურება. „ბარსელონას“ ახალი მთავარი სპონსორი კი იაპონური კომპანია Rakuten-ი იქნება, რომელიც იაპონიაში ყველაზე მსხვილი ონლაინ ვაჭრობის პლატფორმის მფლობელია.**

## სომალიში ტერაქტს 9 ადამიანი ემსხვერპლა

**სომალის დედაქალაქში მორიგი ტერორისტული აქტი განხორციელდა. მოგადიშუს ცენტრში რესტორანთან დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა, რასაც სულ მცირე, 9 ადამიანი ემსხვერპლა. არიან დაშავებულებიც. მომხდარზე პასუხისმგებლობა „აშ-შაბაბის“ ისლამისტურმა დაჯგუფებამ აიღო.**

## 7 გარდაცვლილი და 59 დაშავებული – აფეთქება ჩინეთში

**ჩინეთში საბავშვო ბაღთან მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა 7 ადამიანი და მძიმედ დაშავდა 59. ადგილობრივი მედიასაშუალებების ინფორმაციით, აფეთქება ადგილობრივი დროით 4:50 საათზე, დროის იმ მონაკვეთში მოხდა, როდესაც მშობლები ბავშვებს სახლში წასაყვანად აკითხავენ. ჯერ უცნობია, რა გახდა აფეთქების მიზეზი.**

## აშშ რუსეთს სანქციებს უმკაცრებს

**აშშ სენატმა რუსეთისთვის სანქციების გამკაცრებას მხარი დაუჭირა. დოკუმენტი კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში გადაიგზავნა. იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს კონგრესმენებიც დაუჭერენ, კანონპროექტი დასამტკიცებლად პრეზიდენტს გადაეგზავნება. სექტორალური სანქციები პირველად რუსეთს ვაშინგტონმა 2016 წელს ყირიმის ანექსიისა და დონბასის გამო დაუწესა.**

## თურქეთის თავდაცვის მრეწველობის წლიური ბრუნვა 21,6 პროცენტით გაიზარდა

**თურქეთის სტატისტიკური ინსტიტუტის ინფორმაციით, თავდაცვის მრეწველობის წლიური ბრუნვა 2015 წელთან შედარებით 21,6%-ით გაიზარდა და 6 მილიარდ დოლარს მიაღწია. უწყების ინფორმაციით, სექტორმა 2016 წელს 12 მილიარდი დოლარის ღირებულების შეკვეთები მიიღო, რითაც გაიზარდა პერფორმანსიც და დასაქმებაც. ყველაზე მეტი შეკვეთები მიიღეს სამხედრო სახმელეთო (5,9 მილიარდი დოლარი) და საჰაერო პლატფორმებზე (3,4 მილიარდი), ხოლო სამხედრო იარაღსა და საბრძოლო მასალებზე, ასევე რაკეტებზე 1,8 მილიარდი დოლარი. აღსანიშნავია, რომ ამ შეკვეთების უმრავლესობა ქვეყნის შიდა მოთხოვნებზე მოდის.**



# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის (სოფ. ნოსირი) მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 703 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 470,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 552 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 19 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. გვაზაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „ხონის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 34 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. გვაზაურის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 206 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 520,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4365 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 19 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გავრცელება დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და სათანადო ღონისძიებების დასახვა.<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაჯიხევის მიმდებარე ტერიტორია, „ბაჯიხევის" თაბაშირის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 46 000 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაჯიხევის მიმდებარე ტერიტორია |

| | | |
|---|---|---|
| | ადგილმდებარეობა | |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 464 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 646,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 432 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 19 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 4** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"-სთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება წიაღისეულის მომპოვებელ ლიცენზიანტს.<br>ე) პროექტთან ერთად ლიცენზიანტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დარგის ექსპერტის (ჰიდროლოგის) დასკვნა, სადაც დასაბუთებული იქნება, რომ მდინარის კალაპოტში ინერტული მასალის მოპოვება არ შექმნის წინაპირობას აღნიშნული განშტოების სიახლოვეს განვითარდეს მდინარის, როგორც სიღრმითი, ისე გვერდითი (ნაპირების) ეროზიული პროცესები, რითაც საფრთხე შეექმნება მილსადენის ნორმალურ ფუნქციონირებას.<br>ვ) იმ შემთხვევაში, თუ წიაღის მოსაპოვებლად წარმოებული სამუშაოები საფრთხეს შეუქმნის მაგისტრალურ გაზსადენს, მაშინ ლიცენზიანტმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს სამუშაოები და აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს მოქმედი სანიტარული ნორმებითა და წესებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებამდე, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-სთან გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება მიწის ნაკვეთზე, სადაც ლიცენზიანტის მიერ მოხდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგდახურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო შიდა გზების მეშვეობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სოფლის საავტომობილო გზის დაზიანება და მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>კ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ანანურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. შთიულეთის არაგვზე „ანანურის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - B + $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 135 600 მ$^3$ ). |

| | | |
|---|---|---|
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ანანურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 18 182 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 818,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 9 291 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 19 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 5** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიმის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხანისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 3 150 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიმის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 548 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 54,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 474 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 19 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 6** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი |

| | | |
|---|---|---|
| | | რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანზე, „ალაიანის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 81 300 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 901 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1090,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 651 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 19 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 7**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსნის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა 43 800 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 667 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 666,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 534 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 19 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 8**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა დამიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ხაშური, ჯორჯაძის ქ. N3, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 9 125 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ხაშური |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 295 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 29,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 348 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 19 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

# აჭარას გერმანელი ჟურნალისტები სტუმრობენ



**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით რეგიონში გერმანელი ჟურნალისტები იმყოფებიან. ბეჭდური, ონლაინ და რადიო გამოცემების წარმომადგენლები აჭარის შესახებ სტატიებსა და რეპორტაჟებს ამზადებენ. ჟურნალისტებმა უკვე მოინახულეს მტირალას ეროვნული პარკი, მთიანი აჭარა და რეგიონის საზღვაო ტურისტული პროდუქტები. ისინი ასევე გაეცნენ აჭარის კულტურულ-ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს.**

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი გერმანიიდან პრესტურს პირველად მასპინძლობს. გერმანიაში აჭარის რეკლამირება წელს პირველად დაიწყო, რაც ბერლინში, დორტმუნდსა და მიუნხენში გარე რეკლამას და მთელ გერმანიაში აქტიურ ონლაინ რეკლამას ითვალისწინებს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი წლის ბოლომდე 16 სამიზნე ქვეყნიდან ჯამში 32 პრეს და ინფოტურის ორგანიზებას გეგმავს.**

# „გამეორებადობის“ ხაფანგი

**არსებული მონაცემებით ირკვევა, რომ „დეჟა ვიუს“ სახელით ცნობილი მოვლენა, რა დროსაც ადამიანს ეჩვენება, თითქოს იგი ოდესღაც უკვე იყო მისთვის თითქოს უცნობ ადგილას, ანდა უკვე გადახდენია თავს რაღაც ამბავი, რომელიც იმ წუთას ხდება, ანდა, სულაც ჯერაც არ მომხდარა, მაგრამ აუცილებლად მოხდება. მაინც რაში მდგომარეობს ეს მოვლენა, რა იმალება მის მიღმა?**

„დეჟა ვიუს“ მოვლენა, რაც ფრანგულად „უკვე ნანახს“ ნიშნავს, ადამიანის ფსიქიკის ერთ-ერთი გამოცანაა, რომელიც, ჩვეულებრივ, 5-10 წამი გრძელდება. არჩევენ „დეჟა ვიუს“ რამდენიმე ტიპს: როცა კაცს ჰგონია, რომ ის რასაც ამ წუთას ხედავს, ოდესღაც უკვე უნახავს; როცა კაცი რაღაცას პირველად აკეთებს, მაგრამ იმის სრული შეგრძნება აქვს, რომ ამას უწინ უკვე აკეთებდა; როცა კაცს ჰგონია, რომ უკვე ნამყოფია გარკვეულ ადგილას, რაც ყოვლად გამორიცხულია და ა. შ.

აი, ამ „უკვე ნანახის“, „განცდილის“, „გასინჯულის“ და მსგავს შეგრძნებათა 21 ნაირსახეობა არსებობს. მათ შესახებ დანამდვილებით ისაა ცნობილი, რომ „დეჟა ვიუს“ არ განიცდიან 9-10 წლამდე ბავშვები, სამაგიეროდ ბევრ ახალგაზრდას ხშირად აქვს ამის შეგრძნება; ქალები მას მამაკაცებზე ხშირად განიცდიან; არსებობს მოვლენის კავშირი განათლების დონესთან: ის რეგულარულად მოსდის ინტელექტუალური შრომით დაკავებულ ადამიანებს. „დეჟა ვიუს“ მხრივ რეკორდსმენები არიან თავგაკლული მგზავრები – რაც უფრო მეტი ადგილი აქვთ მოვლილი, მით უფრო ხშირად აქვთ მისი შეგრძნება.

ხშირად „დეჟა ვიუდ“ აღიქვამენ ძველ, თუმცა კი დავიწყებულ ცოდნას. მაგალითად, წარმოგიდგენენ კაცს, თქვენ კი გგონიათ, რომ მას უკვე იცნობთ. შესაძლოა, უწინ სადმე მისი ფოტო გინახავთ და თქვენმა გონებამ, რატომღაც, აღბეჭდა ეს სახე, შემდეგ მას, ვთქვათ, ხმის ტემბრი და ქცევის გარკვეული მანერები „დააშენა“.

ამჟამად არსებობს ხუთი ჰიპოთეზა, რომლითაც მეცნიერები „დეჟა ვიუს“ ახსნას ცდილობენ:

ჰიპოკამპში – ემოციებზე, სივრცეში ორიენტირების უნარსა და ხანმოკლე მეხსიერების გრძელვადიანში გადასვლაზე პასუხისმგებელ ქალა-ტვინის უბნის მუშაობაში გარკვეული ხარვეზი წარმოიშვება. ახალ ინფორმაციას ადამიანი ძველად აღიქვამს, თითქოს ერთსა და იმავე კინოს ხელმეორედ უყურებს, ოღონდ პირველი ნახვა აღარ ახსოვს. „დეჟა ვიუ“ მკვეთრად გამოხატული აქვს ეპილეფსიით დაავადებულებს, რომლებსაც სწორედ ჰიპოკამპის მუშაობის აშლილობები აღენიშნებათ.

ქალა-ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, უმეტესწილად, აქტუალური ინფორმაციის აღქმაზეა ორიენტირებული, მარჯვენა კი წარსულის მეხსიერებას ინახავს (ცაციებში ეს პირიქითაა). ნახევარსფეროთა ურთიერთობებში აშლილობებს ის შედეგი შეიძლება მოყვებოდეს, რომ მარცხენა ნახევარსფერო იბლოკება, რა დროსაც მარჯვენა არევას იწყებს.

ძილის დროს ჩვენი ქვეცნობიერება ვითარებებსა და სახეებს მოდელირებს, რომლებიც შემთხვევით შეიძლება დაემთხვნენ ჩვენს მიერ რეალობაში გადაყრილებს.

რეინკარნაცია არსებობს და „ცნობის“ ეს მომენტები სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი უკვდავი სულის მოგონებები უწინდელ გარდასახვებში განცდილზე. ამ დროს ხშირად ხმარობენ კარლ იუნგის მიერ შეთავაზებულ ტერმინს „გენეტიკური მეხსიერება“.

წიგნების „სულის მოგზაურობანი“ და „სულის დანიშნულება“ ავტორის მაიკ ნიუტონის აზრით, „დეჟა ვიუ“ – ეს ერთგვარი შუქურებია, ჩვენთვის უზანეს ძალთა არსებობის შეხსენებაა, რათა ჩვენ შევიგნოთ ჩვენი დანიშნულება. სახელოვანი ფსიქოთერაპევტი დარწმუნებულია, რომ ჯერ კიდევ დაბადებამდე ადამიანის სულს ამ წარმოსახვაში მის მომავალ ცხოვრებას აჩვენებენ, თუმცა კი დაბადების ეს მოგონებები იბლოკება, მაგრამ ზოგჯერ მაინც წამოტივტივდება ხოლმე...

ეს კი უკვე ნაღდი „დეჟა ვიუა“.

ისე კი ფსიქოლოგები დარწმუნებული არიან, რომ „გამეორებადობის“ ხაფანგში მოყოლის საფრთხისგან დაზღვეული არც ერთი ჩვენგანი არ არის.

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**



**საქმე №1/31-2017**

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 12 ივნისი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ხვიჩია ხოფერია**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 17 მაისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე ხვიჩა ხოფერიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2016 წლის 23 მარტს შპს „ნოვა კრედიტსა" და ხვიჩა ხოფერიას შორის დაიდო №031615269 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 2000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 54 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 23 სექტემბერი.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცლიებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ხვიჩა ხოფერიას სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ხვიჩა ხოფერიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ხვიჩა ხოფერია ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ხვიჩა ხოფერიას (პირადი №62005013717) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ხვიჩა ხოფერიას განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ხვიჩა ხოფერიას ეცნობოს, რომ 2017 წლის 10 ივლისს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ხვიჩა ხოფერიას მიმართ.

5. ხვიჩა ხოფერიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საქმე №1/33-2017**

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 13 ივნისი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ზურაბ გელიაშვილი, სოლომონ სანიკიძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 30 მაისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე ზურაბ გელიაშვილისა და სოლომონ სანიკიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 11 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა" და ზურაბ გელიაშვილს შორის დაიდო №061514719 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 3200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 60 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 11.11.2015წელი.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილი იყო ნინო გუგუციძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით.

2015 წლის 11 ივნისს ერთის მხრივ შპს „ნოვა კრედიტსა" და მეორეს მხრივ სოლომონ სანიკიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ზურაბ გელიაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე სოლომონ სანიკიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ზურაბ გელიაშვილსა და სოლომონ სანიკიძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ზურაბ გელიაშვილი და სოლომონ სანიკიძე რეგისტრაციის ადგილსამყოფელის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობენ, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ზურაბ გელიაშვილს (პირადი №01013022450) და სოლომონ სანიკიძეს (პირადი №01036001984) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

10. ზურაბ გელიაშვილსა და სოლომონ სანიკიძეს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოთ მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე ზურაბ გელიაშვილსა და სოლომონ სანიკიძეს ეცნობოთ, რომ 2017 წლის 10 ივლისს 10:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ზურაბ გელიაშვილისა და სოლომონ სანიკიძის მიმართ.

13. ზურაბ გელიაშვილსა და სოლომონ სანიკიძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**




გეო
ჰოლდინგი
გადავიხდით
თქვენს კრედიტს
საქართველოს
ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

## სანთელი

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან უდიდებულესი ქართველისა და უკეთილშობილესი პიროვნების, ბატონი

### გურამ ახვლედიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს, უსათნოეს ქალბატონს ლია ბურჭულაძეს, ოჯახსა და მის ახლობლებს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს ელიტური საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლის, შესანიშნავი პიროვნების, ბატონი

### გურამ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მიცვალებულის ოჯახსა და მის ახლობლებს.

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P130413**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **EWHIP−4/CS/QCBS-06**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება თბილისი-ბაკურციხე, წნორი-ლაგოდეხი გზის და დეტალური პროექტის მომზადება თბილისი-საგარეჯოს და საგარეჯო-ბაკურციხის გზების განახლებისთვის**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **17 თვე**

შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**

შეფასების ვალუტა: **ლარი**

**შეფასებული კომპანია(ები):**

დასახელება: **JV AECOM Ltd and ILF Consulting Engineers Austria GmbH in sub-consultancy with Temelsu International Engineering Services Inc (Turkey) and Designing and Consulting Company BT (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 74.43

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 2,514,704.00 ევრო და 3,124,683.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 9,672,217.80 ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 79.54

საბოლოო ადგილი: I

დასახელება: **JV Setec als, Setec international and Setec tpi in sub-consultancy with Setec Georgia (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 72.53

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 3,712,596.50 ევრო და 3,124,683.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 15,859,347.51 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: 72.21

საბოლოო ადგილი: II

დასახელება: **JV GETINSA-PAYMA, S.L. and EUROESTUDIOS, S.L. in sub-consultancy with Proeqtmshenkompani (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 76.85

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 5,316,920.00 ევრო და 5,050,353.25 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 18,894,017.85 ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 71.72

საბოლოო ადგილი: III

დასახელება: **Antea Nederland B.V. in sub-consultancy with Unihorn India PVT. Ltd. (India), Policy and Management Consulting Group (PMCG) (Georgia) and Sakgzametsniereba Ltd. (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 62.79

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: არ არის

ერთიანი შეფასების ქულა: არ არის

საბოლოო ადგილი: არ არის

დასახელება: **JV SWS engineering SpA (lead member) and AIC PROGETTI SpA (member) in sub-consultancy with Engineering Solutions Ltd.**

ტექნიკური ქულა: 62.89

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: არ არის

ერთიანი შეფასების ქულა: არ არის

საბოლოო ადგილი: არ არის

**გამარჯვებული კომპანია(ები):**

დასახელება: **JV AECOM Ltd and ILF Consulting Engineers Austria GmbH in sub-consultancy with Temelsu International Engineering Services Inc (Turkey) and Designing and Consulting Company BT (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 74.43

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 2,514,704.00 ევრო და 3,124,683.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 9,672,217.80 ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 79.54

საბოლოო ადგილი: I

საკონტრაქტო ღირებულება: **2,967,350.72 ევრო და 3,687,125.94 ლარი ადგილობრივი არაპირდაპირი გადასახადების ჩათვლით**

**დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):**

დასახელება: არ არის;

ტექნიკური ქულა: არ არის;

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის;

დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ არის.

# Contract Award Notification

Project **Name: Fourth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P130413**

Bid/Contract Reference No: **EWHIP-4/CS/QCBS-06**

Scope of Contract: **Preparation of Feasibility Study for Upgrading of Tbilisi-Bakurtsikhe, Tsnori-Lagodekhi Road and Detailed Design for the Upgrading of Tbilisi-Sagarejo and Sagarejo-Bakurtsikhe Road**

Duration of Contract: **17 months**

Method of Selection: **Quality and Cost-Based Selection (QCBS)**

Evaluation Currency: **Georgian Lari**

**Evaluated Consultant(s):**

Name: **JV AECOM Ltd and ILF Consulting Engineers Austria GmbH in sub-consultancy with Temelsu International Engineering Services Inc (Turkey) and Designing and Consulting Company BT (Georgia)**

Technical Score: 74.43

Financial Proposal Price at the opening: EURO 2,514,704.00 and GEL 3,124,683.00

Evaluated Price: GEL 9,672,217.80

Final Combined Evaluation Score: 79.54

Final Ranking: I

Name: **JV Setec als, Setec international and Setec tpi in sub-consultancy with Setec Georgia (Georgia)**

Technical Score: 75.01

Financial Proposal Price at the opening: EURO 3,712,596.50 and GEL 6,192,860.00

Evaluated Price: GEL 15,859,347.51

Final Combined Evaluation Score: 72.21

Final Ranking: II

Name: **JV GETINSA-PAYMA, S.L. and EUROESTUDIOS, S.L. in sub-consultancy with Proeqtmshenkompani (Georgia)**

Technical Score: 76.85

Financial Proposal Price at the opening: EURO 5,316,920.00 and GEL 5,050,353.25

Evaluated Price: GEL 18,894,017.85

Final Combined Evaluation Score: 71.72

Final Ranking: III

Name: **Antea Nederland B.V. in sub-consultancy with Unihorn India PVT. Ltd. (India), Policy and Management Consulting Group (PMCG) (Georgia) and Sakgzametsniereba Ltd. (Georgia)**

Technical Score: 62.79

Financial Proposal Price at the opening: N/A

Evaluated Price: N/A

Final Combined Evaluation Score: N/A

Final Ranking: N/A

Name: **JV SWS engineering SpA (lead member) and AIC PROGETTI SpA (member) in sub-consultancy with Engineering Solutions Ltd.**

Technical Score: 62.89

Financial Proposal Price at the opening: N/A

Evaluated Price: N/A

Final Combined Evaluation Score: N/A

Final Ranking: N/A

**Awarded Consultant(s):**

Name: **JV AECOM Ltd and ILF Consulting Engineers Austria GmbH in sub-consultancy with Temelsu International Engineering Services Inc (Turkey) and Designing and Consulting Company BT (Georgia)**

Technical Score: 74.43

Financial Proposal Price at the opening: EURO 2,514,704.00 and GEL 3,124,683.00

Evaluated Price: 9,672,217.80

Final Combined Evaluation Score: 79.54

Final Ranking: I

Contract Price: **EURO 2,967,350.72 and GEL GEL 3,687,125.94 inclusive of local indirect taxes**

**Rejected Consultant(s):**

Name: N/A

Technical Score: N/A

Financial Proposal Price at the opening: N/A

Reason (s) for Rejection: N/A

## სულთათანა

უახლოესი მეგობრები ირაკლი ჟორდანია, თამაზ შილაკაძე, ნოდარ მგალობლიშვილი, გივი მესხიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღირსეული მამულიშვილის

**გურამ ახვლედიანის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

შვილები იოსებ, ნიკოლოზ თავაძეები, რძლები ციცო ჯაფარიძე, მარინა ტყეშელაშვილი, თეონა ღვინიანიძე, მარი შარუმაშვილი, სიძეები დავით სუჯაშვილი, გიგა სხილაძე, შვილიშვილები თამუნა, ნინო, ცეზარი, ვალერი, შვილთაშვილები, მძახლები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუიზან (ლუიზა) ნიკოლოზის ასული ნიკოლეიშვილი-თავაძე**

პანაშვიდი: 16, 17 VI;
დაკრძალვა: 18 VI, 14 სთ. სამტრედია, სოფელი გომი.

---

ლალი ჩხეიძე, გივი, სანდრო, ქეთა ჯაფარიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ სიძეს სოსო თავაძეს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

**რუიზან (ლუიზა) ნიკოლეიშვილი-თავაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სპარტაკ ქობულია ოჯახით იუწყება, რომ უახლოეს მეგობარს გურამ ახალაიას გარდაეცვალა და

**ზაირა აკაკის ასული ახალაია-ჩანგელია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, დედმამიშვილებს, უახლოეს სანათესავოს და სამეგობროს.

---

მზია, მანანა, თემურ ქაჯაიები, ვოვა იოსელიანი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გურამ ახალაიას გარდაეცვალა და

**ზაირა აკაკის ასული ახალაია-ჩანგელია**

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის დიდ ოჯახსა და სანათესავოს.

---

ვალერი ჭანტურია, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, საქმით, განათლებითა და ღირსებით გამორჩეული პიროვნება, გულმხურვალე მამულიშვილი, ძმობისა და მეგობრობის დიდი უსტაბაში



**ავთანდილ ნიგურიანი**

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და სრულიად მესტიის საზოგადოებას.

---

## კიშინოვის ინტერპოლის მიერ ძებნილი თბილისში დააკავეს

**თბილისის ინტერპოლისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავა-**



**რი სამმართველოს თანამშრომლებმა კიშინოვის ინტერპოლის მიერ ძებნილი, მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული ი.პ. დააკავეს.**

ი.პ. დამნაშავედ არის ცნობილი მოლდოვის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც ტრეფიკინგს გულისხმობს.

დაკავებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

---

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

### სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD)
### სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი" (AMMAR) იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი **დავალების** შესასრულებლად:

**ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:**

**ქარელის მუნიციპალიტეტში სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მეორე რიგის გამანაწილებლების გ-22; გ-23; გ-25; გ-27; გ-30; გ-31; გ-32; გ-33; გ-35-ისა და გ-36 და მათი სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია**

1. ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლის დავალება განხორციელდება "სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის" (AMMAR) სასოფლო ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების კომპონენტის ფარგლებში. პროექტის (AMMAR) მიზანია საქართველოს სოფელში მცხოვრები ქალების და მამაკაცების შემოსავლების ზრდა და სიღარიბის შემცირება. განვითარების მიზანია კლიმატზე ადაპტირებული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტირების სტიმულირება მცირემიწიანი ფერმერების შემოსავლების გასაზრდელად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2. ამჟამად პროექტი იწყებს **ქარელის მუნიციპალიტეტში სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მეორე რიგის გამანაწილებლების გ-22; გ-23; გ-25; გ-27; გ-30; გ-31; გ-32; გ-33; გ-35-ისა და გ-36 და მათი სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბლიტაციას.**
დეტალური პროექტი და ნახაზები მოიპოვება დეპარტამენტში.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით პროექტი გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას ტექნიკური ზედამხედველობის კონსულტანტ კომპანიასთან (შემდგომში "ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია").

დავალების მიზანია, ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ამასთანავე გულისხმობს სამუშაოების სრულ შესაბამისობას პროექტთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, ნახაზებთან და სხვა საკონტრაქტო დოკუმენტაციასთან და სამუშაოების დადგენილ ვადებში დასრულებას.

წინამდებარე დავალების შესაბამისად დეპარტამენტის ინჟინერ-კონსულტანტის/ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ინფრასტრუქტურის მესაკუთრის (შპს 'საქართველოს მელიორაცია") წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს პროექტის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის საერთო ზედამხედველობაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის II თავის გ. ნაწილის (ხარისხის კონტროლი) და ბ. ნაწილის (ხარჯების კონტროლი) დებულებების შესაბამისად.

ზედამხედველობისთვის საჭირო მთელი აღჭურვილობა (პერსონალისთვის მანქანების ჩათვლით), ასევე საზომი და საკონტროლო ინსტრუმენტები ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს.

**3. მომსახურების ხანგრძლივობაა 6 თვე და 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, სულ 18 თვე.** დავალების სავარაუდო დაწყების თარიღის 2017 წლის სექტემბერი.

**4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფირმის მიმართ:**

1. მსგავსი პროექტებისთვის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი; საზედამხედველო კომპანიას უნდა ჰქონდეს ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილება შემდეგ ან მსგავსი ტიპის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კერძოდ: სარწყავი არხები; სადრენაჟე არხები; კოლექტორები, მილსადენები; ჰიდროტექნიკური ნაგებობები; გზები; ხიდები; სამოქალაქო/სამრეწველო ნაგებობები.
3. ფირმის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

ზედამხედველების ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ტექნიკური სპეციალისტებით. შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ნიშნავს მსგავსი ხასიათის სამშენებლო პროექტებში შესაბამის სფეროში მუშაობის ფაქტიურ გამოცდილებას.

ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საჭირო პერსონალი, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს გამოცდილ (1) ჯგუფის ხელმძღვანელს/მშენებელ ინჟინერს, (2) საველე ზედამხედველებს და (3) ტოპოგრაფს.

**1. ჯგუფის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**
- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

**2. საველე ზედამხედველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**
- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

**3. ჯგუფის ტოპოგრაფის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**
- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

5. ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

6. ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ წერილობით ჩვენ ელ-ფოსტაზე. ინტერესის გამოხატვის წერილი შეიძლება ელექტრონულად გამოგზავნილი იყოს და თან უნდა დაერთოს:
1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (პროექტის განხორციელების, ვადების, დამკვეთის და ღირებულების ჩათვლით);
3. ინფორმაცია ამ დავალებისთვის შემოთავაზებული პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების დეტალური აღწერილობა - CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ **2017 წლის 30 ივნისის 12 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6, მე-3 სართული, ოთახი 309
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 237-80-38
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: Nana.Kupunia@moa.gov.ge

# თუ შიმშილისგან სული არ მიგდით – მოერიდეთ!



**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ და კიბოს შესწავლის საერთაშორისო სააგენტომ იმ სურსათის ნუსხა განსაზღვრეს, რომელიც, დადასტურებული სამედიცინო ჩვენებებით, სიმსივნეთა წარმოშობას პროვოცირებს.**

ესენია, კერძოდ:

**ხორცი.** წითელი ხორცის ყოველდღიური მოხმარება ხელს უწყობს კუჭქვეშა ჯირკვლის და პროსტატის კიბოს წარმოშობას.

**ტრანსცხიმები.** ფრანგმა მეცნიერებმა კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ ისინი მეტად უარყოფით როლს ასრულებენ ონკოლოგიურ დაავადებათა განვითარებაში.

**ძეხვეული და სოსისი.** ამ სახეობის სურსათის 50 გრამის ყოველდღიური მოხმარება კუჭ-ნაწლავთა კიბოს რისკს 18 პროცენტით ზრდის.

**ალკოჰოლიანი სასმელები.** ორი კათხა ალკოჰოლის რეგულარული მოხმარება ხელს უწყობს შვიდი სახეობის ონკოლოგიური დაავადების წარმოშობას, რომელთა შორისაა ღვიძლის, კუჭ-ნაწლავთა, სარძევე ჯირკვლის, პირის ღრუს, ყელისა და საყლაპავის კიბო. სპირტიანი სასმელების ხშირი მოხმარება ფიტავს და ასუსტებს ორგანიზმს, რის შედეგად იგი ონკოლოგიური დაავადების აგრესიის მსხვერპლი ხდება.

**შებოლილი ხორცეული და მწვადი.** შებოლვის პროცესში წარმოიშობა კანცეროგენი ბენზაპირენი. 50 გრამი შებოლილი ხორცი ერთი კოლოფი სიგარეტის მიერ მოტანილი ზიანის ტოლფასია.

**გენმოდიფიცირებული სურსათი.** მეცნიერები აღიარებენ, რომ ამ გამოყვანილი საკვების მოხმარების შედეგები დღესდღეობით ბოლომდე შესწავლილი არ არის.

# თუ ახლობელს გონი ეკარგება...

**ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მეცნიერებმა, რომლებმაც მოხუცებულობის გონებასისუსტის სიმპტომები შეისწავლეს, დაასკვნეს, რომ ასაკში უცბად შეძენილი გონებასიმხიარულე, შესაძლოა, დეგენეციის დაწყების ნიშანი იყოს.**

მაგალითად, კაცმა შეიძლება შეიყვაროს სულელური კომედიები, მდარე ხუმრობები, სიცილი აუტყდეს სტიქიური უბედურების კადრების



ცქერისას, ახლობლების პრობლემების შეტყობისას: ვთქვათ, შეიძლება ხარხარი დაიწყოს, თუკი ვინმე ხელს იტკენს, ფეხი გადაუბრუნდება ან დაეცემა.

იუმორის გრძნობის ასეთი შეცვლა შესაძლოა დემენციის სხვა სიმპტომების გაჩენამდე რამდენიმე წლით ადრე მოხდეს. მათ შორისაა მეხსიერების გაუარესება, ფსიქიკური დარღვევები და სხვა.

ამიტომაც, თუკი ახლობელ ადამიანს ასეთი სიმპტომი შეატყვეთ, აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოთ. იმის მიუხედავად, რომ ამის საწინააღმდეგო წამალი მეცნიერებს ჯერჯერობით არ გამოუგონიათ, ადრეულ დიაგნოსტიკას სნეულების განვითარების შენელება შეუძლია.

# „აწონვის“ დღე

**საიმისოდ, რომ ჭარბი წონის დაგდების პროცესი უფრო დაგიჩქარდეთ და მეტი სტაბილობა შეიძინოს, საჭიროა... რეგულარულად აწონვა.**




ის ადამიანები, ვინც რეგულარულად იწონებიან, უფრო სწრაფად ხდებიან და ახალ, დაკლებულ წონასაც უფრო ადვილად ინარჩუნებენ.

აღმოჩნდა, რომ სხეულის მასის მუდმივი კონტროლი ზედმეტი კილოგრამების მოცილების პროცესს გვიადვილებს და მიღწეულზე დაკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს.

საყურადღებოა, რომ სპეციალისტები კვირაში ერთხელ, კერძოდ, ოთხშაბათობით აწონვას გვირჩევენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

# სახიფათო ფეხბურთი

**ყველაზე მავნე სპორტი... ფეხბურთი ყოფილა.**



მეცნიერებმა, რომლებმაც სხვადასხვა დროს გარდაცვლილ ფეხბურთელთა თავის ტვინი გამოიკვლიეს, აღმოაჩინეს მასში რუხი ნივთიერების სტრუქტურის შეცვლა, რომელიც ხანდაზმულობის, გონებასისუსტისა (დემენციის) და ნაადრევი სიკვდილის მიზეზად იქცა.

ვარაუდობენ, რომ ეს ცვლილებები – ხშირი მიკროტრავმების შედეგია, რომლებიც დროთა განმავლობაში თავის ტვინის ფუნქციების დარღვევას იწვევს.

# „პარალელური“ განვითარების გზით...



**ორი წლის ბავშვები, თავიანთი სოციალური ჩვევებით, გაცილებით უფრო ახლოს არიან... ძაღლებთან, ვიდრე ადამიანის უახლოესი „ნათესავ“ შიმპანზეებთან, აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები.**

მკვლევარებმა 522 ძაღლს, 106 მაიმუნსა და 105 პატარას ერთნაირი ტესტი შესთავაზეს. დავალება იმაში მდგომარეობდა, რომ ჟესტით ან მზერით გამოთქმული მინიშნებით საჭირო იყო სათამაშოს ან ნუგბარის მიგნება. ბავშვებმა და ძაღლებმა ინსტრუქციები მაიმუნებზე უკეთ გამოიყენეს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, ზოგიერთი ევოლუციური პროცესი ადამიანებსა და ძაღლებში ერთნაირად მიმდინარეობდა.

## სასწრაფოდ იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 56 81 86; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით.

ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

# მანათობელი სახვევი

**მეცნიერებმა ჭრილობების ახალი „გონიერი“ შესახვევი შექმნეს, რომელიც... შეხორცების პროცესს აკვირდება.**

შესახვევის სტრუქტურაში ჩაქსოვილია საღებავიანი ნანოკაფსულები, რომლებიც მავნე ბაქტერიებთან კონტაქტისას სკდება და დოლბანდი ნათებას იწყებს.



ახალი ტექნოლოგია შეხორცების პროცესს აჩქარებს, ამცირებს იარების წარმოქმნის რისკს და ხელახლა შეხვევას გაცილებით იშვიათად საჭიროებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4101; ევრო - 2.7008;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0676;
100 რუბლი - 4.2241; თურქული ლირა - 0.6851;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4280;
1000 სომხური დრამი - 4.9940.

**ამინდი 16 ივნისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12 | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +24 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +11, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +9, | დღე +23 |
| თბილისი: | ღამე +14, | დღე +25 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge